

სს “ზირაათ ბანკი საქართველო”

ფინანსური ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა.....	3
ფინანსური ანგარიშგებები.....	6
ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	10

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს ზირაათ ბანკი საქართველო-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ სს “ზირაათ ბანკი საქართველო”-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ანგარიშგება შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს სს “ზირაათ ბანკი საქართველო”-ს ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისთვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამატებითი ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციაზე. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ინფორმაციას და ჩვენს აუდიტორულ ანგარიშს), რაც სავარაუდოდ ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება ამ დასკვნის გაცემის თარიღის შემდგომ. ჩვენი მოსაზრება აღნიშნულ ფინანსურ ინფორმაციაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას, მათ შორის მმართველობის ანგარიშგებას.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობაა, რომ ზემოთ მოყვანილი სხვა ინფორმაცია წავიკითხოთ, როდესაც იგი ხელმისაწვდომი გახდება და განვსაზღვროთ რამდენად შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას ან აუდიტის პროცესში მიღებული ცოდნით, გამოვავლინოთ მატერიალური უზუსტობა. გარდა ამისა, ჩვენ უნდა გამოვხატოთ მოსაზრება, რამდენად შეესაბამება მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილი შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს სს “ზირაათ ბანკი საქართველო”-ს ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას.

დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ISA-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას, როცა ის არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში თუ გონივრულ ფარგლებში მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ISA-ს შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი ორგანიზაცია.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა - განმარტებებს და ასევე ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა მის საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი არის დავით გვეტაძე.

შპს “ფი-ქეი-ევ ჯორჯია“
30 მარტი, 2019
თბილისი, საქართველო

Address: 61, Agmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30

Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms

მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

გარიგების პარტნიორი არის დავით გვეტაძე.



შპს "ფი-ქეი-ეფ ჯორჯია"
30 მარტი, 2019
თბილისი, საქართველო

Address: 61, Agmashenebeli 0102, Tbilisi, Georgia

Tel: +995 32 2 24 30 30

Fax: +995 32 2 293 57 94 | E-Mail: pkf@pkfgeorgia.com | URL: www.pkf.com

PKF Georgia is a member firm of the PKF International Limited network of legally independent firms and does not accept any responsibility or liability for the actions or inactions on the part of any other individual member firm or firms

ფინანსური ანგარიშგებები

სს “ზირაათ ბანკი საქართველო”
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	5	4,583,755	3,408,489
საპროცენტო ხარჯი	5	(217,811)	(350,100)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		4,365,944	3,058,388
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	15	225,690	(266,649)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების გამოკლების შემდეგ		4,591,634	2,791,740
საკომისიო შემოსავალი		1,188,478	1,117,388
საკომისიო ხარჯი		(629,112)	(536,608)
შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან		1,519,978	1,799,643
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,815,284)	(3,534,389)
სხვა შემოსავალი		159,225	180,662
გაცემული გარანტიების რეზერვის ცვლილება	15	198,535	(139,217)
სხვა აქტივების რეზერვების ცვლილება		32,997	-
ზარალი საკუთროსო სხვაობიდან		(102,310)	(137,982)
მოგება დაზღვევამდე		3,144,141	1,541,237
მოგების გადასახადის ხარჯი		(28,166)	(62,201)
წლიური მოგება		3,115,975	1,479,036

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მეჰმეთ უჩარ

სოფიო ჯლანტიაშვილი

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4.

ფინანსური ანგარიშგებები

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“
სრული შემოსავლების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	5	4,583,755	3,408,489
საპროცენტო ხარჯი	5	(217,811)	(350,100)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		4,365,944	3,058,388
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	15	225,690	(266,649)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების გამოკლების შემდეგ		4,591,634	2,791,740
საკომისიო შემოსავალი		1,188,478	1,117,388
საკომისიო ხარჯი		(629,112)	(536,608)
შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან		1,519,978	1,799,643
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(3,815,284)	(3,534,389)
სხვა შემოსავალი		159,225	180,662
გაცემული გარანტიების რეზერვის ცვლილება	15	198,535	(139,217)
სხვა აქტივების რეზერვების ცვლილება		32,997	-
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(102,310)	(137,982)
მოგება დაბეგრამდე		3,144,141	1,541,237
მოგების გადასახადის ხარჯი		(28,166)	(62,201)
წლიური მოგება		3,115,975	1,479,036

გენერალური დირექტორი

მეჰმეთ უჩარ

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი

სოფიო ჯლანტიაშვილი

Handwritten signature of Sofio Jlantia

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4.

სს „ზირათ ბანკი საქართველო“,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	შენიშვნა	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვი სებ_ში	9	10,372,884	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	34,190,175	17,917,715
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	11	28,705,073	15,815,783
სავაჭრო მოთხოვნები		1,865,585	-
სხვა აქტივები		205,395	253,373
ძირითადი საშუალებები	12	4,038,931	3,540,429
არამატერიალური აქტივები		311,517	221,460
სულ აქტივები		114,981,120	93,650,135
ვალდებულებები			
კლიენტთა ანგარიშები	13	59,563,749	61,630,939
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ		2,023,209	783,621
გაცემული გარანტიების რეზერვი		29,871	228,406
სხვა ვალდებულებები		274,714	142,964
საგადასახადო ვალდებულება		-	27,178
სულ ვალდებულებები		61,891,543	62,813,109
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	14	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება		3,089,577	833,037
სხვა რეზერვი		-	3,989
სულ კაპიტალი		53,089,577	30,837,026
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		114,981,120	93,650,135

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მეჰმეთ უჩარ

სოფიო ჯლანტიაშვილი

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“,
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	შენიშვნა	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტები	8	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვი სებ_ში	9	10,372,884	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები	10	34,190,175	17,917,715
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	11	28,705,073	15,815,783
სავაჭრო მოთხოვნები		1,865,585	-
სხვა აქტივები		205,395	253,373
ძირითადი საშუალებები	12	4,038,931	3,540,429
არამატერიალური აქტივები		311,517	221,460
სულ აქტივები		114,981,120	93,650,135
ვალდებულებები			
კლიენტთა ანგარიშები	13	59,563,749	61,630,939
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ		2,023,209	783,621
გაცემული გარანტიების რეზერვი		29,871	228,406
სხვა ვალდებულებები		274,714	142,964
საგადასახადო ვალდებულება		-	27,178
სულ ვალდებულებები		61,891,543	62,813,109
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	14	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება		3,089,577	833,037
სხვა რეზერვი		-	3,989
სულ კაპიტალი		53,089,577	30,837,026
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		114,981,120	93,650,135

გენერალური დირექტორი
მეჰმეთ უჩარ
30 მარტი, 2019
თბილისი, საქართველო



მთავარი ბუღალტერი
სოფიო ჯლანტიაშვილი

[Handwritten signature]

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

სს „ზირათ ბანკი საქართველო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,204,182	6,440,789	7,989	21,652,960
კაპიტალის შემცირება	(15,204,182)	-	-	(15,204,182)
კაპიტალის გაზრდა	30,000,000	(4,775,496)	-	25,224,504
კაპიტალის გაზრდა		646,780	-	646,780
ამორტიზაცია		-	(4,000)	(4,000)
პერიოდის შედეგი		(1,479,036)		(1,479,036)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,000,000	833,037	3,989	30,837,026
კაპიტალის შემცირება	-	(859,435)	-	(859,435)
კაპიტალის გაზრდა	20,000,000	-	-	20,000,000
ამორტიზაცია	-	-	(3,989)	(3,989)
პერიოდის შედეგი	-	3,115,975	-	3,115,975
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000,000	3,089,577	-	53,089,577

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მეჰმეთ უჩარ

სოფიო ჯლანტიაშვილი

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“
 კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,204,182	6,440,789	7,989	21,652,960
კაპიტალის შემცირება	(15,204,182)	-	-	(15,204,182)
კაპიტალის გაზრდა	30,000,000	(4,775,496)	-	25,224,504
კაპიტალის გაზრდა		646,780	-	646,780
ამორტიზაცია		-	(4,000)	(4,000)
პერიოდის შედეგი		(1,479,036)		(1,479,036)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	30,000,000	833,037	3,989	30,837,026
კაპიტალის შემცირება	-	(859,435)	-	(859,435)
კაპიტალის გაზრდა	20,000,000	-	-	20,000,000
ამორტიზაცია	-	-	(3,989)	(3,989)
პერიოდის შედეგი	-	3,115,975	-	3,115,975
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	50,000,000	3,089,577	-	53,089,577

გენერალური დირექტორი

მეჰმეთ უჩარ

M. Uchar

30 მარტი, 2019
 თბილისი, საქართველო

მთავარი ბუღალტერი

სოფიო ჯლანტიაშვილი

S. Jlantia



შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
 საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	3,144,141	1,541,237
კორექტირებები:		
- ცვეთა და ამორტიზაცია	467,406	524,509
- რეზერვების ცვლილება	(198,535)	80,908
სებ-ში სავალდებულო რეზერვის ზრდა/შემცირება	(3,637,192)	3,741,945
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა/შემცირება	(16,272,460)	(3,280,065)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების ზრდა/შემცირება	(12,889,291)	(5,663,606)
სხვა აქტივების შემცირება/ზრდა	47,978	(106,280)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,865,585)	-
კლიენტთა ანგარიშების ზრდა/შემცირება	(2,067,190)	16,572,894
სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(66,785)	26,438
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(27,178)	27,178
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები	(33,364,691)	13,465,157
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(260,643)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(33,364,691)	13,204,515
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	(588,559)	355,580
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(588,559)	355,580
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ბანკის სხვა ფილიალისადმი ვალდებულებების გადახდა	1,239,587	405,271
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	18,839,539	7,642,830
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	20,079,126	8,048,101
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(13,874,124)	21,608,194
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	49,165,684	27,557,490
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	35,291,560	49,165,684

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

მეჰმეთ უჩარ

სოფიო ჯლანტიაშვილი

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2018	2017
მოგება დაბეგვრამდე	3,144,141	1,541,237
კორექტირებები:		
- ცვთა და ამორტიზაცია	467,406	524,509
- რეზერვების ცვლილება	(198,535)	80,908
სებ-ში სავალდებულო რეზერვის ზრდა/შემცირება	(3,637,192)	3,741,945
კლიენტებზე გაცემული სესხების ზრდა/შემცირება	(16,272,460)	(3,280,065)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების ზრდა/შემცირება	(12,889,291)	(5,663,606)
სხვა აქტივების შემცირება/ზრდა	47,978	(106,280)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება	(1,865,585)	-
კლიენტთა ანგარიშების ზრდა/შემცირება	(2,067,190)	16,572,894
სხვა ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(66,785)	26,438
საგადასახადო ვალდებულებების ზრდა/შემცირება	(27,178)	27,178
საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული ფულადი ნაკადები	(33,364,691)	13,465,157
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(260,643)
საოპერაციო საქმიანობით გენერირებული წმინდა ფულადი სახსრები	(33,364,691)	13,204,515
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფიქსირებული და არამატერიალური აქტივების შეძენა	(588,559)	355,580
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(588,559)	355,580
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ბანკის სხვა ფილიალისადმი ვალდებულებების გადახდა	1,239,587	405,271
ცვლილებები საწესდებო კაპიტალში	18,839,539	7,642,830
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	20,079,126	8,048,101
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(13,874,124)	21,608,194
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	49,165,684	27,557,490
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	35,291,560	49,165,684

გენერალური დირექტორი

მეჰმეთ უზარ

M. U.



მთავარი ბუღალტერი

სოფიო ჯლანტიაშვილი

S. J. Lantia

30 მარტი, 2019

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 10-29 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 3-4

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები სს „ზირაათ ბანკი საქართველო“

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ზირაათ ბანკი“ თბილისის ფილიალი ჩამოყალიბდა 1998 წელს. 2017 წლის 27 აპრილს ეროვნული ბანკის N386 განკარგულების თანახმად, სს „ზირაათ ბანკმა“ საქართველო-მ მიიღო საბანკო საქმიანობის ლიცენზია და ფუნქციონირება განაგრძო ამჯერად უკვე არა როგორც ფილიალმა, არამედ როგორც სს „ზირაათ ბანკი თურქეთის“ შვილობილმა ბანკმა.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ (შემდგომში „ბანკი“) ჩამოყალიბდა 2017 წლის 23 მარტს და ოპერირებს საქართველოში. ბანკი არის აქციებისგან შემდგარი სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებული არის შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, სანაპიროს ქუჩა N-6. ბანკი, თავისი სერვის ცენტრებით თბილისში, ბათუმსა და მარნეულში. ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გაცემული საბანკო საქმიანობის ლიცენზიით.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის საბანკო მომსახურების გაწევა.

ხელმძღვანელობა:

გენერალური დირექტორი	მეჰმეტ უჩარ
გენერალური დირექტორის მოადგილე	ჰალუქ ჯენგიზ
დირექტორი	მერთ ქოზაჯიოღლუ

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ქართულ ლარში (GEL), რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური და წარმომადგენლობითი ვალუტა. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში აღირიცხება ტრანზაქციის თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსით. ამგვარი ოპერაციებისა და უცხოური ვალუტით დენომინირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აღიარდება შემოსავლის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 TRY/GEL	0.5076	0.6874
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

2. მომზადების საფუძველი

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად. ეს არის კომპანიის მიერ პირველად მომზადებული ფინანსური ანგარიშგებები.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გასტუმრების შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის. როდესაც ხდება აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულებით შეფასება, ჯგუფი იყენებს ბაზარზე გავრცელებულ მონაცემებს, რამდენადაც ისინი ხელმისაწვდომია. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების პირდაპირ დადგენა, ჯგუფი ახორციელებს მის შეფასებას (გარე კვალიფიციურ შემფასებლებთან მჭიდრო თანამშრომლობით) ისეთი შეფასების მეთოდების გამოყენებით, რომელიც მაქსიმალურად იყენებს შესაბამის საბაზრო მონაცემებს და მინიმალურად იყენებს არასაბაზრო მონაცემებს (მაგ: საბაზრო შედარებითი მიდგომის გამოყენებით, რომელიც ასახავს მსგავსი ინსტრუმენტების უკანასკნელი ტრანზაქციის ფასებს, ან დისკონტირებული ფულადი ნაკადის ანალიზით). მონაცემები შეესაბამება აქტივის/ვალდებულების მახასიათებლებს, რომლებსაც გაითვალისწინებდნენ ბაზრის მონაწილეები.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების წამგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი ისეთი მატერიალური შეუსაბამობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის საქმიანობის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 ფინანსური ინსტრუმენტები

ბანკი ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, ბანკი ყველა ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით.

ფინანსური ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე. საანგარიშგებო პერიოდში ბანკმა ფინანსური ინსტრუმენტები დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად:

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები ადვილად კონვერტირებადი და ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკის მქონე მუხლია. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ეროვნული ბანკის მიმართ თანხებს, რომელშიც შედის სავალდებულო რეზერვები და ბანკთაშორის თანხები სამ თვეზე ნაკლები ვადით. ფულადი სახსრები სამ თვეზე მეტი ვადით გამოირიცხება ფული და ფულის ექვივალენტებისგან. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

სავალდებულო ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკთან

სავალდებულო ფულადი სახსრები ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ არის ხელმისაწვდომი კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობაში.

სესხები და მოთხოვნები

სესხები და მოთხოვნები არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული გადასახადებით, რომელიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (გარდა მოკლევადიანი მოთხოვნებისა, სადაც პროცენტი უმნიშვნელოა), რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობის შედეგად წარმოქმნილი ზარალი.

გარდა კლიენტებზე გაცემული სესხებისა, საბანკო ნაშთები და ფული კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივებია ფიქსირებული ან განსაზღვრული საზღაურით და ფიქსირებული დაფარვის ვადით, რომელთა ფლობის განზრახვა და უნარი ჯგუფს ვალდებულების შესრულების ვადამდე აქვს. ამ კატეგორიაში დაუშვებელია იმ ფინანსური აქტივების კლასიფიცირება, რომლებსაც ჯგუფი თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულებით და ასახავს მოგება - ზარალში და აქტივებისა, რომლებიც აკმაყოფილებენ სესხებისა და მოთხოვნების განმარტებას. სესხებისა და მოთხოვნების მსგავსად, ეს აქტივები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რასაც გამოაკლდება გაუფასურებით ან უიმედო ვალად ცნობით წარმოქმნილი ზარალი.

სახსრები სხვა ბანკებში

სხვა ბანკებში სახსრები ფიქსირდება მაშინ, როცა ჯგუფი ავანსად გასცემს თანხას პარტნიორ ბანკებზე, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეზე მეტია და არ აქვს ფიქსირებულ ან დადგენილ ვადებში დასაფარი არაკვოტირებული არა-წარმოებული დებიტორული დავალიანების სხვაზე გადაცემის განზრახვა. სხვა ბანკებში სახსრები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი აღრიცხვა

საანგარიშგებო პერიოდში ბანკს არ დაუკლასიფიცირებია ფინანსური ვალდებულება, როგორც სავაჭროდ ფლობილი ან სამართლიანი ღირებულებით აღრიცხული მოგება - ზარალის გამოყენებით. ყველა სხვა ვალდებულება აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კლიენტთა ანგარიშები და ვალდებულება სხვა ბანკების მიმართ კლასიფიცირდება ამ კატეგორიაში.

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის, რომელიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას და მოიცავს ნებისმიერ საფასურს ან დამატებით ხარჯებს, რომლებიც უშუალოდ ეკუთვნის ინსტრუმენტს და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ბანკი აფასებს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებაზე. ფასდება, ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე. გაუფასურების ობიექტური სამხილი შესაძლოა იყოს კონტრაგენტის ფინანსური პრობლემები, ხელშეკრულების დარღვევა, მსესხებლის გაკოტრების ალბათობა, ფინანსური აქტივისთვის აქტიური ბაზრის გაუჩინარება ფინანსური პრობლემების გამო და სხვა.

კლიენტებზე გაცემული სესხების შემთხვევაში, თუ ინდივიდუალურად არ ხდება გაუფასურების შეფასება, ბანკი აფასებს გაუფასურებას კოლექტიურად, წარსულ გამოცდილებაზე და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

საბალანსო ღირებულება მცირდება საექვო ვალების რეზერვის გამოყენებით. ამ რეზერვის ცვლილება აღიარდება მოგება - ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტების გაქვითვა და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა თანხის წარმოდგენა ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როცა არსებობს გაქვითვის იურიდიული უფლება და ანგარიშსწორების გაქვითულ თანხაზე წარმოების განზრახვა.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება მაშინ, როცა ინვესტიციიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ამოიწურება ან გადაიცემა მფლობელობასთან დაკავშირებულ ყველა რისკთან და უკუგებასთან ერთად.

ფინანსური ვალდებულება ბანკის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებული იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი

ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება - ზარალი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

მიწა და დაუმთავრებელი მშენებლობა არ იცვითება. ცვეთის გამოთვლა წარმოებს იმგვარად, რომ გახორციელდეს აქტივის თვითღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის ჩამოწერა, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში:

დასახელება	სასიცოცხლო ვადები
შენობები	50
კომპიუტერული აღჭურვილობა	4
ავტო	6
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება	5
სხვა	4-5

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და ნებისმიერი ცვლილება აღირიცხება პერსპექტიულად.

ჩამოწერის შედეგი აღიარდება მოგება - ზარალში.

არამატერიალური აქტივები

შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო გამოყენების ვადისა და ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გადახედვა, სასიცოცხლო ვადის განუსაზღვრელობამდე. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადით, ტარდება გაუფასურების ტესტი წლიურად. არამატერიალური აქტივები იცვითება იმ თარიღიდან, როცა გამოიყენება. სასიცოცხლო ვადა არის 10 წელი, ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდის გადახედვა ხდება წლიურად და კორექტირდება შესაბამისად.

კლიენტის ანგარიშები

კლიენტის ანგარიშები არის არაწარმოებული ვალდებულებები ფიზიკური, იურიდიული პირების მიმართ და აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურების ნიშნების შეფასება ხდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. გაუფასურება არსებობს მხოლოდ მაშინ, როცა ბანკი დაადგენს, რომ მოხდა „ზარალის შემთხვევა“, რომელიც ახდენს გავლენას ფინანსური აქტივებიდან მოსალოდნელ ფულად ნაკადებზე. შესაძლოა ვერ მოხერხდეს გაუფასურების გამომწვევი შემთხვევის იდენტიფიცირება და ასეთი შემთხვევის ანალიზი მოითხოვდეს მნიშვნელოვან მსჯელობას.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივის გაუფასურების ზარალი არის სხვაობა ამ აქტივის საბალანსო ღირებულებასა და აქტივიდან მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, მოგება - ზარალის ანგარიშგების ხარჯებში გატარებით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას შორის უმეტესი. ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აქტივი არ წარმოიქმნის ფულადი სახსრების შემოდინებას სხვა აქტივებისაგან ან აქტივთა ჯგუფისგან დამოუკიდებლად. თუ ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ფულადი სახსრების წარმოქმნილი ერთეულისთვის, რომელსაც ეკუთვნის აქტივი.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი გამოითვლება მოქმედი ან ანგარიშგების თარიღის დღეს ძალაში შესული საგადასახადო განაკვეთით. დასაბეგრი მოგება სააღრიცხვო მოგებისგან განსხვავდება იმ მიზეზების გამო, რომ ზოგი შემოსავალი და ხარჯი არასდროს იბეგრება ან იქვითება, ან მათი დაბეგვრის ან დაქვითვის დროის მონაკვეთი განსხვავებულია მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობისა და სააღრიცხვო მდგომარეობის თვალსაზრისით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების ვალდებულებათა მეთოდით, გადავადებული გადასახადის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას და შესაბამის საგადასახადო ბაზას შორის ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება იმ საგადასახადო განაკვეთებით, რომლებიც მოსალოდნელია აქტივის რეალიზების ან ვალდებულების დაფარვის პერიოდისთვის იმ საგადასახადო განაკვეთის (და საგადასახადო კანონმდებლობის) საფუძველზე, რომელიც ძალაში შევიდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება მხოლოდ იმის გათვალისწინებით, თუ რამდენად თვლის ჯგუფი (უფრო სავარაუდოა ვიდრე არა), რომ იმავე საგადასახადო იურისდიქციის ფარგლებში მას ექნება საკმარისი დასაბეგრი მოგება აქტივის უტილიზაციისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იურიდიული უფლება მიმდინარე საგადასახადო აქტივების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ვალდებულებებთან გასაქვითად, ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან და ჯგუფს სურს თანხების დაფარვა ურთიერთგაქვითვის საფუძველზე.

ანარიცხები

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის ჯგუფს აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ ჯგუფი შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება - ზარალში.

უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ფასდება ზანკის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული Lari) ეროვნული ზანკის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური გაცვლითი კურსით საანგარიშგებო თარიღისთვის:

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
1 USD/GEL	2.6766	2.5922
1 TRY/GEL	0.5076	0.6874
1 EUR/GEL	3.0701	3.1044

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება - ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

მფლობელთა კაპიტალი

მესაკუთრის კაპიტალის ინვესტიცია აღიარებულია თავისივე ღირებულებით და კლასიფიცირებულია კაპიტალში როგორც მფლობელთა კაპიტალი. დივიდენდები აღიარებულია როგორც ვალდებულება იმ წელს, როდესაც ისინი გამოაცხადეს.

დივიდენდი

დივიდენდები აღირიცხება ვალდებულების სახით და გამოირიცხება კაპიტალიდან იმ ვადაში, როდესაც დივიდენდებს გამოაცხადებენ და დაამტკიცებენ. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსურ ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი გამოვლინდება შემდგომი მოვლენების შესახებ ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯები და მასთან დაკავშირებული შენატანი

ხელფასები, საპენსიო შენატანები, შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი, აღიარდება იმ წელს, როცა მასთან დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომელმა გაწია.

დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები

ჩვეულებრივ ბიზნესში, კომპანიას აქვს გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან. განსჯა დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებით გამოიყენება მაშინ, თუ გარიგებები ფასდება საბაზრო ან არასაბაზრო ფასებში, სადაც არ არის აქტიური ბაზარი მსგავსი ტიპის ტრანზაქციებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტიპის ტრანზაქციების ფასები არა დაკავშირებულ მხარეებთან.

4. ახალი ან შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ (გამოცემული 2014 წლის ივლისში) - სტანდარტი ჩაანაცვლებს ბასს 39 სტანდარტს (ასევე ჩაანაცვლებს ფასს 9 სტანდარტის ყველა წინა ვერსიას) 2018 წლის პირველ იანვარს ან შემდეგ დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. სტანდარტი მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების შეწყვეტის წესებს.

ფასს 9-ს მიხედვით ყველა აღიარებული ფინანსური აქტივის შემდგომი აღრიცხვა უნდა მოხდეს ამორტიზებული ან რეალური ღირებულებით (მოგებაზე ან ზარალზე ან სხვა საერთო შემოსავალზე) კლასიფიკაციის მიხედვით ბიზნესის მოდელის და კონტრაქტით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლების გათვალისწინებით.

ფინანსურ ვალდებულებებზე ფასს 9 სტანდარტი ყველაზე დიდ გავლენას ახდენს იმ შემთხვევაში, სადაც გამოიყენება რეალური ღირებულების მეთოდი: ისეთი ფინანსური ვალდებულების რეალური ღირებულების ცვლილების აღიარება, რომელიც აღრიცხულია რეალური ღირებულებით ვალდებულების რისკების ცვლილებით გამოწვეული მოგებისა და ზარალის გათვალისწინებით, ხდება სხვა საერთო შემოსავალში (მოგებასა და ზარალში აღიარების ნაცვლად) გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს იწვევს წინააღმდეგობას აღრიცხვაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

ჰეჯირების აღრიცხვისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია არსებითი რევიზია, რისი წყალობითაც ფინანსური ანგარიშგებები უკეთ ასახავენ, თუ როგორ ტარდება რისკის მართვის აქტივობები ფინანსური და არაფინანსური რისკების ჰეჯირებისას.

ფასს 15, კლიენტებთან დადებული კონტრაქტებიდან შემოსავალი (გამოიცა 2014 წლის 28 მაისს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ეს ახალი სტანდარტი გვთავაზობს მთავარ პრინციპს, რომ შემოსავალი აღიარებული უნდა იყოს მაშინ, როცა საქონელი ან მომსახურებები გადაეცემა კლიენტს, გარიგებაში ფაქტიური გაყიდვის ფასად. ნებისმიერი პაკეტით განსაზღვრული საქონელი ან მომსახურებები, რომლებიც განსხვავდება, ცალკე უნდა იყოს აღიარებული და საკონტრაქტო ფასის ნებისმიერი დისკონტი ზოგადად უნდა გადანაწილდეს ცალკე ელემენტებზე. როცა უზრუნველყოფა რაიმე მიზეზით იცვლება, მინიმალური თანხები აღიარებული უნდა იყოს, თუ მათ არ აქვთ შებრუნების მნიშვნელოვანი რისკი. კლიენტებთან კონტრაქტების უზრუნველყოფით გამოწვეული ხარჯები უნდა კაპიტალიზდებოდეს და ამორტიზებული იქნას პერიოდის განმავლობაში, როცა კონტრაქტის სარგებელი მოიხმარება. ეს ცვლილება არ არის მოსალოდნელი, რომ რაიმე გავლენას მოახდენს ჯგუფის ფინანსურ ანგარიშებზე.

ფასს 16, ლიზინგი (გამოიცა 2016 წლის 13 იანვარს და მოქმედებს პერიოდისთვის დაწყებული 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ახალ სტანდარტში წარმოდგენილია აღიარების, შეფასების, პრეზენტაციისა და ლიზინგების ასახვის პრინციპები. ყველა ლიზინგი იწვევს იმას, რომ მოიჯარე, იღებს აქტივის გამოყენების უფლებას ლიზინგის დასაწყისშივე, და თუ იჯარის გადახდა ხდება ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ასევე დაფინანსების მიღების შესაძლებლობას. შესაბამისად, ფასს 16 აფასებს იჯარების საოპერაციო ლიზინგად ან ფინანსურ ლიზინგად კლასიფიკაციას, როგორც

ამას მოითხოვს ბასს 17 და ამის ნაცვლად, შემოაქვს ერთი მოიჯარის საბუღალტრო აღრიცხვის მოდელი. მოიჯარეებმა უნდა აღიარონ: (ა) აქტივები და ვალდებულებები 12 თვეზე მეტ ვადიანი ლიზინგებისთვის, თუ წარმოადგენილი აქტივი დაბალ ღირებულებიანი არ არის; და (ბ) იჯარით გაცემული აქტივის ცვეთა იჯარის ვალდებულებებზე პროცენტისგან ცალკე მოგება-შემოსავლის ანგარიშგებაში. ფასს 16-ს არსებითად გადააქვს მეიჯარის საბუღალტრო არიციხვის მოთხოვნები ბასს 17-ში. შესაბამისად, მეიჯარე აგრძელებს მისი იჯარების საოპერაციო ლიზინგებად ან ფინანსურ ლიზინგებად კლასიფიკაციას, და სხვადასხვაგვარად უდგება ამ ორი ტიპის ლიზინგს. ჯგუფი ამჟამად ახორციელებს მის ფინანსური ანგარიშგებებზე ზეგავლენის შეფასებას.

ფასიკ 22 “ოპერაციები უცხოურ ვალუტაში და წინასწარი ანაზღაურება” (გამოცემულია 2016 წლის 8 დეკემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ინტერპრეტაცია ითვალისწინებს ოპერაციის თარიღის განსაზღვრის წესს უცხოურ ვალუტაში ოპერაციების შესახებ სტანდარტის გამოყენების დროს. ბასს 21. ინტერპრეტაცია გამოიყენება როდესაც საწარმო იხდის ან იღებს ანაზღაურებას წინასწარ უცხოურ ვალუტაში დენომინირებული კონტრაქტებისთვის. ინტერპრეტაცია მიუთითებს, რომ ოპერაციის თარიღი არის დღე, რომელზეც საწარმო თავდაპირველად აღიარებს არაფულად აქტივს ან არაფულად ვალდებულებას, რომელიც წარმოიქმნება წინასწარი ანაზღაურების გადახდის ან მიღების შედეგად. რამდენიმე წინასწარი გადახდის ან მიღების შემთხვევაში, ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეულ გადახდასთან ან მიღებასთან დაკავშირებით. ინტერპრეტაცია მოითხოვს საწარმომ განსაზღვროს ოპერაციის თარიღი წინასწარი ანაზღაურების თითოეული გადახდისთვის ან მიღებისთვის. არანაირი არსებითი გავლენა არ არის მოსალოდნელი ჯგუფზე ახალი სტანდარტის შემოღების შედეგად.

ფასიკ 23 “გაურკვევლობები მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ” (გამოცემულია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ)

ბასს 12 მიუთითებს მიმდინარე და გადავადებული გადასახადის აღრიცხვის წესს, მაგრამ არ მიუთითებს გაურკვევლობების შედეგების ასახვის წესს. ინტერპრეტაცია განსაზღვრავს აღიარების და შეფასების მოთხოვნების წესს ბასს 12-ში, გაურკვევლობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ. საწარმომ უნდა განსაზღვროს განიხილოს თუ არა თითოეული გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი ცალკე თუ სხვა ერთ ან მეტ გაურკვეველ საგადასახადო რეჟიმებთან ერთად, რომელი მიდგომის საფუძველზეც უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმომ უნდა დაუშვას, რომ საგადასახადო ორგანო შეამოწმებს იმ თანხებს, რომლის შემოწმების უფლებაც გააჩნია და სრული ინფორმაცია აქვს ასეთი შემოწმებების განხორციელების დროს. თუ საწარმოს დასკვნით არ არის შესაძლებელი რომ საგადასახადო ორგანომ მიიღოს გაურკვეველი საგადასახადო რეჟიმი, გაურკვევლობის ეფექტი უნდა აისახოს დაკავშირებული დაბეგვრადი მოგების ან ზარალის, საგადასახადო ბაზების, გამოუყენებელი საგადასახადო ზარალის, გამოუყენებელი საგადასახადო კრედიტების ან საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრაში, სარწმუნო თანხის ან მოსალოდნელი ღირებულების გამოყენებით, რომელი მეთოდის საფუძველზეც საწარმო უკეთ განსაზღვრავს გაურკვევლობის გადაწყვეტის საკითხს. საწარმო ასახავს ცვლილების შედეგს ფაქტობრივად და გარემოებების მიხედვით ან ახალი ინფორმაციის შედეგს, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე, წინასწარი აღრიცხვის ცვლილების სახით. ცვლილებების მაგალითები ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალი ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს ხელმოწერედ შეფასება, მოიცავს და არა მხოლოდ შემოწმებებს ან ქმედებებს საგადასახადო ორგანოს მიერ, ცვლილებებს წესებში, რომელიც დადგენილია საგადასახადო ორგანოს მიერ ან გამოიწვიოს საგადასახადო ორგანოს საგადასახადო რეჟიმის შემოწმების ან განმეორებით შემოწმების უფლების ამოწურვა. საგადასახადო რეჟიმთან დაკავშირებით საგადასახადო ორგანოს შეთანხმების არარსებობა ან უთანხმოება არ მოიცავს ცვლილებას ფაქტობრივად და გარემოებებში ან ახალ ინფორმაციას, რომელიც გავლენას ახდენს ინტერპრეტაციით მოთხოვნილ შეფასებებზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ინტერპრეტაციის ზემოქმედებას ფინანსურ ანგარიშგებებზე.

5. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი დაფარვის ვალამდე ფლობილი ინვესტიციებიდან	1,742,707	968,386
საპროცენტო შემოსავალი იურიდიულ პირებზე გაცემული სესხებიდან	1,182,507	823,533
საპროცენტო შემოსავალი ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხებიდან	969,447	974,596
საპროცენტო შემოსავალი რეზიდენტ ბანკების დეპოზიტებიდან	610,402	632,074
საპროცენტო შემოსავალი არა-რეზიდენტ ბანკების დეპოზიტებიდან	78,692	9,900
სულ საპროცენტო შემოსავალი	4,583,755	3,408,489

საპროცენტო ხარჯი	2018	2017
იურიდიული პირების დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	120,642	178,674
არა-რეზიდენტი ბანკების დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	60,846	115,167
ფიზიკური პირების დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	31,285	44,057
რეზიდენტი ბანკების დეპოზიტების საპროცენტო ხარჯი	5,038	12,202
სულ საპროცენტო ხარჯი	217,811	350,100

6. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასი	2,279,997	2,068,834
ცვეთა და ამორტიზაცია	467,406	524,509
პროფესიონალური მომსახურება	200,743	85,734
იჯარა	166,248	162,866
დაცვა	142,771	119,937
კომუნალური	129,992	82,523
წარმომადგენლობითი	73,243	51,682
ქონების დაზღვევა	69,875	52,568
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	37,653	44,006
გარიგების დაზღვევა	16,217	100,000
სხვა ხარჯი	231,139	241,730
სულ	3,815,284	3,534,389

7. მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომელიც ძალაში შევა 2019 წლის 1 იანვრიდან და ეხება კომერციულ ბანკებს, საკრედიტო კავშირებს, სადაზღვევო ორგანიზაციებს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და ლომბარდებს, ხოლო სხვა საწარმოებთან დაკავშირებით 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი კოდექსი ზემოქმედებას ახდენს ჯგუფის საშემოსავლო გადასახადის აღიარებასა და შეფასების პრინციპებზე და ასევე გავლენას ახდენს ჯგუფის გადავადებულ საშემოსავლო გადასახადებზე აქტივებსა/ვალდებულებებზე. კომპანიებს არ უწევთ გადასახადამდე მოგებაზე საშემოსავლოს გადახდა (რომელსაც იყენებენ კომერციული ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო ორგანიზაციები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ლომბარდები 2017 წლის 1 იანვრიდან ან 2019 წლის 1 იანვრიდან), სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან მოგების განაწილების სხვა ფორმით. დივიდენდის გადახდის შემდეგ, საშემოსავლო გადასახადის 15% გადასახდელია დივიდენდის გადახდის მომენტში, მიუხედავად იმისა ის გადასახდელია მონეტარული თუ არამონეტარული ფორმით უცხოური არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის და უცხოელი და ადგილობრივი ფიზიკური პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდა გადასახადისგან გათავისუფლებულია.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი გადასახდელია დანახარჯსა ან სხვა გადასახდელებზე, რომლებიც წარმოიქმნა არაეკონომიკური საქმიანობის შედეგად, საქონლის/მომსახურებების უფასო მიწოდების და/ ან სახსრების გადარცხვაზე და წარმომადგენლობით ხარჯზე, რომლებიც აღემატება საქართველოს საშემოსავლო გადასახადით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას იმავე წელს როცა ისინი წარმოიქმნა.

8. ფული და ფულის ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
დეპოზიტები სხვა ბანკებში	31,114,763	27,553,200
ფული სალაროში	3,181,834	4,395,931
მიმდინარე ანგარიშები სხვა ბანკებში	660,012	15,884,447
ფული ბანკომატებში	332,480	397,461
მიმდინარე ანგარიშები სეზ-ში, გარდა სავალდებულო რეზერვისა	2,471	934,645
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	35,291,560	49,165,684

საბანკო ანგარიშებზე ფულადი ნაშთი შეიძლება კლასიფიცირებული იყოს რისკის გარეშე, იმის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას აქვს მიმდინარე ანგარიშები, საიმედო და ცნობილი ქართული საკრედიტო ინსტიტუტებია.

9. სავალდებულო რეზერვები სეზ-ში

სავალდებულო რეზერვები სეზ-ში	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სავალდებულო რეზერვები სეზ-ში	10,372,884	6,735,692
სულ სავალდებულო რეზერვები სეზ-ში	10,372,884	6,735,692

საქართველოს ეროვნული ბანკის სავალდებულო ფულადი ნაშთები წარმოადგენს დეპოზიტებს ეროვნულ ბანკში. რეზიდენტი ფინანსური ინსტიტუტები ვალდებული არიან, შეინარჩუნონ სავალდებულო რეზერვი ეროვნულ ბანკში, რომლის ოდენობა დამოკიდებულია საფინანსო ინსტიტუტების მიერ მოზიდული თანხების დონეზე.

10. კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
გრძელვადიანი სესხები სავაჭრო და მომსახურების სექტორში მოქმედ კლიენტებზე	19,056,068	5,383,525
გრძელვადიანი სესხები ფიზიკურ პირებზე	10,645,070	9,702,570
მოკლევადიანი სესხები სავაჭრო და მომსახურების სექტორში მოქმედ კლიენტებზე	2,693,113	995,574
მოკლევადიანი სესხები სამშენებლო სექტორში მოქმედ კლიენტებზე	996,981	145,001
გრძელვადიანი სესხები სამშენებლო სექტორში მოქმედ კლიენტებზე	682,078	1,961,356
მოკლევადიანი სესხები ფიზიკურ პირებზე	442,985	295,131
მოკლევადიანი სესხები სხვა სექტორებში მოქმედ კლიენტებზე	18,026	66,935
	34,534,321	18,550,092
დარიცხული პროცენტი	240,276	155,250
ვადაგადაცილებული სესხები	119,866	142,061

კლიენტებზე გაცემულ მოკლევადიან სესხებზე დარიცხული ჯარიმები	14	-
კლიენტებზე გაცემულ გრძელვადიან სესხებზე დარიცხული ჯარიმები	105	408
	34,894,581	18,847,811

მატერიალური სხვაობა კლიენტთა სესხების სამართლიან ღირებულებასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის არ არის.

მომხმარებელთა სესხების გაუფასურება:

საწყისი ბალანსი	(930,096)	(660,821)
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	225,690	(269,274)
საბოლოო ნაშთი	(704,406)	(930,096)
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,190,175	17,917,715

უზრუნველყოფა

გირაოს თანხის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. გირაოს ეფექტი განისაზღვრება გირაოს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრით საანგარიშგებო თარიღისთვის მთლიანი სესხებისა და ავანსებთან შედარებით

უზრუნველყოფა	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
უძრავი ქონება	28,828,722	17,106,255
მესამე პირის გარანტია	5,254,963	1,119,670
არაუზრუნველყოფილი	576,031	466,228
სულ უზრუნველყოფა	34,659,716	18,692,153

*ზემოთ მოცემული უზრუნველყოფის ცხრილი არ მოიცავს დარიცხულ პროცენტებს

უზრუნველყოფის ეფექტი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	უძრავი ქონება		მესამე პირის გარანტია		არაუზრუნველყოფილი			
	საბალანსო	გირაო	საბალანსო	გირაო	საბალანსო	სულ	სულ გირაო	LTV
ბიზნესი	10,307,821	33,074,782	-	38,639,581	-	10,307,821	71,714,363	14.37%
სამომხმარებლო	2,807,510	10,994,005	286,555	2,801,279	579,483	3,673,548	13,795,283	26.63%
კორპორატიული	10,656,188	38,529,042	5,029,055	39,804,778	-	15,685,243	78,333,819	20.02%
იპოთეკური	5,227,970	12,576,521	-	4,303,169	-	5,227,970	16,879,689	30.97%
სულ	28,999,489	95,174,349	5,315,610	85,548,805	579,483	34,894,581	180,723,155	19.31%

საკრედიტო ხარისხი

ბანკის პოლიტიკა საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს თითოეული სესხის კლასიფიკაციას გაუფასურების მითითებით ან გაუფასურების მითითების გარეშე.

საკრედიტო ხარისხი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სესხები გაუფასურების ინდიკატორების გარეშე	33,705,664	17,097,004
სესხები გაუფასურების ინდიკატორებით	954,052	1,595,149
სულ საკრედიტო ხარისხი	34,659,716	18,692,153

*ზემოთ მოცემული საკრედიტო ხარისხის ცხრილი არ მოიცავს პროცენტებს

ზემოთ მოცემული ცხრილები უზრუნველყოფს სესხის პორტფელის ანალიზს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

31-დეკ-2018	ბიზნეს სესხები	სამომხმარებლო სესხები	კორპორაციული სესხები	იპოთეკური სესხები	სულ
- მსესხებლები 2 წელზე მეტი საკრედიტო ისტორიით	1,311,122	1,507,419	834,913	3,744,678	7,398,132
- ახალი მსესხებლები	8,276,103	2,166,053	15,571,044	1,483,249	27,496,449
სულ სესხები გაუფასურების გარეშე	9,587,225	3,673,472	16,405,957	5,227,927	34,894,581
სესხები ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით					
- 0 - 30 დღემდე	9,500,486	3,608,796	16,032,344	5,031,351	34,172,977
- 31 - 90 დღემდე	-	-	-	224,984	224,984
- 91 - 180 დღემდე	-	-	-	-	-
- 181 - 360 დღემდე	-	29,075	-	-	29,075
- 360 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	39,906	14,805	-	172,558	227,269
სულ სესხები	9,540,392	3,652,676	16,032,344	5,428,893	34,654,305
დარიცხული პროცენტი	46,833	20,796	148,629	24,018	240,276
სულ სესხები გაუფასურების გარეშე	9,587,225	3,673,472	16,180,973	5,452,911	34,894,581

2018 წლის დასაწყისიდან საერთაშორისო აუდიტორულმა კომპანიამ „Delloitte & Touche LLC“ დანერგა „სს ზირაათ ბანკი საქართველოში“ IFRS 9 სტანდარტი და გამოყენებული იქნა ECL- ის მოდელი, რომელიც ითვალისწინებს, რომ მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ყველა სესხი გაუფასურების ნიშნით არის სათანადო უზრუნველყოფილი. მათ საბალანსო ღირებულებასა და მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის სხვაობა არის ნაკლები ბანკის მიერ შექმნილ გაუფასურების ზარალთან შედარებით. გაუფასურება შეიქმნა IFRS 9 სტანდარტის შესაბამისად.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვებს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ECL (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი)		ეტაპი 1*	ეტაპი 2*	ეტაპი 3*	სულ
გაცემული სესხები					
სეგმენტი_1	იპოთეკური	5,045,048	2,603	185,731	5,233,382
სეგმენტი_2	სამომხმარებლო	3,405,342	43,963	224,243	3,673,548
სეგმენტი_3-4	ბიზნესი და საკრედიტო ხაზი	25,517,860	-	469,791	25,987,651
სულ		33,968,250	46,566	879,765	34,894,581
რეზერვის პროცენტი					
სეგმენტი_1	იპოთეკური	0.15%	40.49%	75.45%	2.84%
სეგმენტი_2	სამომხმარებლო	0.62%	40.48%	70.56%	5.37%
სეგმენტი_3-4	ბიზნესი და საკრედიტო ხაზი	0.11%	0.00%	70.44%	1.38%
სულ		0.17%	40.48%	71.53%	2.02%
ECL (ლარი)					
სეგმენტი_1	იპოთეკური	7,444	1,054	140,129	148,627
სეგმენტი_2	სამომხმარებლო	21,241	17,797	158,222	197,260
სეგმენტი_3-4	ბიზნესი და საკრედიტო ხაზი	27,584	-	330,935	358,519
სულ ECL ლარში		56,269	18,851	629,286	704,406

* **ეტაპი 1** - მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც არ აქვთ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მას შემდეგ, რაც თავდაპირველად აღიარეს ან საანგარიშგებო თარიღისთვის ჰქონდა დაბალი საკრედიტო რისკი.

* **ეტაპი 2** - მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომლებსაც აქვთ საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა მას შემდეგ, რაც თავდაპირველად აღიარეს, მაგრამ გაუფასურების მტკიცებულება არ არის.

* **ეტაპი 3** - მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლისთვისაც საანგარიშგებო თარიღისთვის არსებობდა ობიექტური მტკიცებულება მათი გაუფასურების.

11. დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სებ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	21,750,575	12,849,614
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	6,954,498	2,966,168
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,073	15,815,782

ყველა სავალდებულო ფასიანი ქაღალდი, გარდა კორპორატიული ობლიგაციებისა, გაიცემა საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნულ ბანკის მიერ.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციების მოძრაობა, აღიარებული ამორტიზებული ღირებულებით, შემდეგია:

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები 01.01.2017	10,152,177
შესყიდვა	25,500,000
დაფარვა	19,800,000
ფასდაკლება	(36,395)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები 31.12.2017	15,815,782
შესყიდვა	56,895,000
დაფარვა	43,681,000
ფასდაკლება	(324,709)
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები 31.12.2018	28,705,073

12. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობა	კომპ. და სოფისე აღჭ.	ავეჯი	იჯარით აღებული ქონების გაუმჯ.	სხვა	სულ
ღირებულება						
1 იანვარი 2017	2,297,063	770,838	1,021,435	1,036,318	252,171	5,377,825
შეძენა	-	18,733	13,686	-	71,031	103,450
ანგარიშზე გადატანა	-	500,717	371,160	-	-	871,877
ჩამოწერა	-	592,381	413,124	-	-	1,005,505
31 დეკემბერი 2017	297,063	697,907	993,158	1,036,318	323,202	5,347,647
შეძენა	644,851	147,052	243,277	535,304	45,714	1,616,198
ჩამოწერა	(156,557)	(1,310)	-	(535,304)	-	(693,171)
31 დეკემბერი 2018	2,785,357	843,650	1,236,435	1,036,318	368,915	6,270,675

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი 2017	18,019	638,124	390,192	436,732	40,682	1,523,749
ცვეთა	31,619	80,648	427,645	584,537	31,602	1,156,052
ანგარიშზე გადატანა	-	107	-	-	-	107

კორექტირება	-	17,353	185,805	429,312	-	632,470
ჩამოწერა	-	94,198	145,807	-	-	240,005
31 დეკემბერი 2017	49,638	607,114	486,226	591,957	72,284	1,807,219
ცვეთა	37,286	52,508	152,920	135,206	47,194	425,114
ჩამოწერა	-	(589)	-	-	-	(589)
31 დეკემბერი 2018	86,924	659,034	639,145	727,163	119,478	2,231,744
1-იან-17	2,279,044	132,714	631,244	599,586	211,488	3,854,076
1-იან-18	2,247,425	90,793	506,933	444,361	250,917	3,540,429
31-დეკ-18	2,698,433	184,616	597,290	309,155	249,437	4,038,931

13. კლიენტის ანგარიშები

კლიენტის ანგარიშები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
იურიდიული პირების მიმდინარე ანგარიშები	42,010,683	32,230,817
იურიდიული პირების დეპოზიტები	8,332,483	18,375,974
	50,343,166	50,606,791
ფიზიკური პირების მიმდინარე ანგარიშები	6,616,240	9,419,448
ფიზიკური პირების დეპოზიტები	2,576,606	1,566,571
	9,192,846	10,986,019
	59,536,012	61,592,810
გადასახდელი პროცენტი	27,737	38,129
სულ კლიენტის ანგარიშები	59,563,749	61,630,939

კლიენტთა ანგარიშები სექტორების მიხედვით არის გადანაწილებული შემდეგნაირად:

		31-დეკ-18	31-დეკ-17
	თანხა	%	%
მშენებლობა	29,996,198	50%	36,632,330 59%
ვაჭრობა	12,303,921	21%	8,520,103 14%
ფიზიკური პირები	9,192,843	15%	10,986,018 18%
სამთო	4,177,316	7%	2,867,707 5%
სხვა	3,865,734	6%	2,586,652 4%
	59,536,012	100%	61,592,810 100%

14. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრისთვის 30 000 ათასი ლარი იყო. კომპანიამ 2018 წელს კაპიტალი 20,000 ათასი ლარით გაზარდა და 2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოს თანხამ 50 000 ათასი ლარი შეადგინა.

15. სესხების შესაძლო დანაკარგებისა და გაცემული გარანტიების რეზერვის ცვლილება

სესხის რეზერვი

საწყისი ბალანსი	(930,096)
მიმდინარე წელს სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება (ძველი სტანდარტით)	(115,966)
ახალ IFRS9-სტანდარტზე გადასვლის ეფექტი მოგება-ზარალზე	341,656
საბოლოო ნაშთი	(704,406)

გარანტიის რეზერვი

საწყისი ბალანსი	(228,406)
მიმდინარე წელს გაცემული გარანტიების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება (ძველი სტანდარტით)	(304,686)
ახალ IFRS9-სტანდარტზე გადასვლის ეფექტი მოგება-ზარალზე	503,221
საბოლოო ნაშთი	(29,871)

16. გაცემული გარანტიების რეზერვი

გარანტიები, რომლებიც წარმოადგენენ შეუქცევად რწმუნებას, რომ ბანკი გადაიხდის თანხებს იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ვერ შეძლებს საკუთარი ვალდებულებების შესრულებას მესამე მხარეების მიმართ, ატარებენ იგივე საკრედიტო რისკს, რასაც სესხი.

გარანტიებისა და აკრედიტივის ზოგადი გაუფასურების მიდგომა მოიცავს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების 1-ელ და მე-3 ეტაპებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ რომელიმე კონკრეტული სესხი მექანიკურად არ არის კლასიფიცირებული, როგორც მე-2 ეტაპის ფინანსური ინსტრუმენტი.

სტანდარტი მოითხოვს, რომ ფინანსური გარანტიებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი შეფასდეს მაშინვე, როდესაც კომპანია გახდება შეუქცევადი ვალდებულების მხარე.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ არსებობდა იმის ნიშნები, რომ ბანკს მოუწევდა თანხების გადახდა ამ გარანტიების მიხედვით და ამ გადახდილი თანხების ამოღება გახდებოდა საეჭვო ამიტომ მთლიანი პორტფელი დაკლასიფიცირებული ეტაპი 1*-ში.

ეტაპი 1*				
გაცემული გარანტიები	გაცემული გარანტიები	შესაძლო დანაკარგების რეზერვი	%	
კორპორატიული	22,004,738	24,651	0.11%	
სმე	4,649,862	5,220	0.11%	
სულ	26,654,600	29,871	0.11%	

17. კაპიტალის მართვა

ბანკის მიზანი კაპიტალის მართვისას არის კაპიტალის მიმართ სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვა.

საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოცულობის გაანგარიშებას ზირაათ ბანკი საქართველო, პილარ 2-ს ფარგლებში, ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციისა და ბაზელის დედანი დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოები არის ბანკის დირექტორატი, რომელსაც ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის დახმარებას უწევს ბანკში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. ბანკი ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესს. ასევე უზურნველყოფს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის ადეკვატურობასა და ყველა მატერიალური რისკის განსაზღვრას, რომელიც გამომდინარეობს ბანკის სტრატეგიიდან, ბიზნეს მოდელიდან, ბანკის ზომასა და კომპლექსურობიდან და ყოველდღიური საქმიანობიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 3 მაისის „კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N61/04 ბრძანების თანახმად, საბანკო ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირისა და ლიცენზირებული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა 50 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება. ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადა სამ ფაზად იყოფა კერძოდ, აღნიშნული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს, 2018 წლის 30 ივნისისათვის - არანაკლებ 40 მილიონ ლარს და - 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არანაკლებ 50 მილიონ ლარს.

სებ-ის მოთხოვნით, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9,6 %-ის ოდენობით და 6,4 % პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლას ეროვნული ბანკის მიხედვით 2017 და 2018 წლებისთვის, ბაზელ I-ის მიხედვით:

ბაზელ II/III

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით , ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლა, ბაზელ III -ის რეგულაციის მიხედვით. აღნიშნულ ცხრილში 2018 და 2017 წლებში გათვალისწინებულია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში“ შეტანილი ცვლილებები:

	2018	2017
მფლობელთა კაპიტალი	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულ. მიხედვით	2,271,094	859,435
მინუს: არამატერიალური აქტივები	(311,517)	(221,460)
პირველადი კაპიტალი	51,959,577	30,637,975
საერთო რეზერვები	1,207,097	570,237
მეორადი კაპიტალი	1,207,097	570,237
საზედამხედველო კაპიტალი	53,166,674	31,208,212
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სებ-ის რეგ. (RWA)	95,184,281	62,018,876
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	54.59%	49.4%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)***	55.86%	50.3%

***რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შესაბამისად, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის აღარ იღებს მონაწილეობას სულ რისკის მიხედვით შეწონილ რისკის

პოზიციებში. რამაც შესაბამისად გამოიწვია, ბაზელ III-ზე დაფუძნებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების და კაპიტალის კოეფიციენტების ცვლილება.

18. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით

„შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

საბოლოო ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
მიმდინარე ანგარიშები ზირაათ ბანკის სათავო ოფისში	588,881	15,574,949
დეპოზიტები სს ზირაათ ბანკის სათავო ოფისში	14,453,640	-
სესხები მენეჯმენტს	105,142	209,867
სესხები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	55,352	119,679
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	2,026,055	783,621
მენეჯმენტის მიმდინარე ანგარიშები	38,772	11,075
სხვა დაკავშირებული მხარეების მიმდინარე ანგარიშები	13,040	10,567
მენეჯმენტის კომპენსაცია	868,286	579,251

19. ინფორმაცია ფინანსურ რისკებზე

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საკმეიანობების განხორციელებისას, ბანკი ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი

ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს ბანკისთვის.

ლიკვიდურობის რისკი

რისკი, რომ ბანკს არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი

რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. ბანკი ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთს და სავალურო რისკებს.

აღნიშნული რისკების ეფექტური მართვისთვის, ბანკს დამტკიცებული აქვს სპეციფიური სტრატეგიები, რაც შეესაბამება კორპორაციულ მიზნებს. ეს სტრატეგიები განსაზღვრავენ მოკლე და გრძელვადიან სამოქმედო გეგმებს და ბანკის წინაშე მდგარი ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებებს. შიდა აუდიტები ტარდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბანკის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება პრაქტიკაში.

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას:

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	2018	2017
ფული და ფულის ექვივალენტები	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	10,372,885	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფ. რეზ. დაკლებამდე	34,894,581	18,842,401
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,072	15,815,783
	109,264,098	90,559,560
კლიენტთა ანგარიშები	59,563,749	61,630,939
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	2,023,209	783,621
	61,586,958	62,414,560

19.1 საკრედიტო რისკი

	2018	2017
ფული და ფულის ექვ. მინუს ფული სალაროში და ბანკომატებში	31,777,243	44,372,290
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	10,372,885	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფ. რეზ. დაკლებამდე	34,894,581	18,842,401
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,072	15,815,783
	105,749,781	85,766,166

19.2 ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

ბანკი მართავს ლიკვიდურობის რისკს მოსალოდნელი გადახდის ვადების საფუძველზე.

ქვემოთ წარმოდგენილი არის ფინანსური ვალდებულებები დარჩენილი საკონტრაქტო ვადების მიხედვით (საკონტრაქტო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები):

2017	1 თვე-ზე ნაკლები	1-დან 3 თვე-მდე	3-დან 6 თვე-მდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
კლიენტთა ანგარიშები	59,693,598	837,608	527,162	289,284	283,286	61,630,938
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	5,561	-	401	129,610	648,050	783,621
	59,699,159	837,608	527,563	418,894	931,336	62,414,560
2018	1 თვე-ზე ნაკლები	1-დან 3 თვე-მდე	3-დან 6 თვე-მდე	6 თვიდან 1 წლამდე	1 წელზე მეტი	სულ
კლიენტთა ანგარიშები	53,981,899	2,094,385	575,319	1,703,183	1,208,963	59,563,749
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	-	-	-	-	2,023,209	2,023,209
	53,981,899	2,094,385	575,319	1,703,183	3,232,172	61,586,958

19.3 საპროცენტო განაკვეთის რისკი

ბანკს არ გააჩნია ფინანსური აქტივები და ვალდებულებები მცოცავი საპროცენტო განაკვეთით.

19.4 სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს.

ფინანსური აქტივები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალუტების მიხედვით:

2018	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	17,995,655	16,326,670	730,198	239,036	35,291,560
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	9,974,773	398,112	-	10,372,885
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფას. რეზ. დაკლებამდე	19,751,272	15,143,309	-	-	34,894,581
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,072	-	-	-	28,705,072
	66,451,999	41,444,752	1,128,310	239,036	109,264,098

2017	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	13,733,702	34,707,098	655,756	69,129	49,165,685
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	-	6,322,267	413,425	-	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფას. რეზ. დაკლებამდე	7,625,342	11,217,059	-	-	18,842,401
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	15,815,783	-	-	-	15,815,783
	37,174,827	52,246,424	1,069,181	69,129	90,559,561

20. ფუნქციონირებადი საწარმო

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს განგრძობითობის რისკის დაშვებით, რომლის მიხედვითაც კომპანია შეძლებს ბანკისა და სხვა ვალდებულებების დაფარვის პირობების დაკმაყოფილებას.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ანგარიში გასაცემად მზად იყო 2019 წლის 30 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე მნიშვნელოვანი მოვლენები არ დაფიქსირებულა.

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“

მმართველობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

და

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“-ს მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენი ვალდებულებაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის თაობაზე. ჩვენ გამოვთქვამთ მოსაზრებას:

- მმართველობის ანგარიშგების საქმიანობის მიმოხილვის ნაწილის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის და
- იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხედენილობის თაობაზე. აუდიტის განხორციელების პროცესში სუბიექტის შესახებ მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით ჩვენ განვსაზღვრავთ არსებით უზუსტობებს და საჭიროების შემთხვევაში მივუთითებთ მათ არსს.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენმა კომპანიამ ჩაატარა სს-ის „ზირაათ ბანკი საქართველო“ თანმხლები 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიშგების შემოწმება. სს-ს „ზირაათ ბანკი საქართველო“ მენეჯმენტი სრულად პასუხისმგებელია ბანკის მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ კანონის შესაბამისად.

შპს-მ „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“ ჩაატარა შემოწმება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ხსენებულ კანონის შესაბამისად საჭიროა ბანკის მმართველობის ანგარიშგების აუდიტის დაგეგმვა და შესრულება გონივრული გარანტიების მისაღებად, თუ რამდენად შეესაბამება ბანკის მმართველობის ანგარიშგება დადგენილ ნორმებს, ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტის შედეგებს და მთლიანობაში რამდენად სათანადოდ ასახავს ბანკის პოზიციას და წარმოაჩენს მომავალი განვითარების შესაძლებლობებსა და რისკებს.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ

ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე
შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“

25 სექტემბერი, 2019 წელი

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

გარიგების პარტნიორი

დავით გვეტაძე

შპს „ფი-ქეი-ეფ ჯორჯია“



25 სექტემბერი, 2019 წელი

სარჩევი

შესავალი.....	4
მმართველობის ანგარიშის მიზანი და შინაარსი.....	4
საქმიანობის მიმოხილვა.....	4
ბანკის ჯგუფის სტრუქტურა	5
სუბიექტის განვითარების გეგმები.....	7
საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	8
მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	9
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	10
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	11
კაპიტალის მართვა.....	12
დაკავშირებული მხარეები	13
ახალი შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები	14
აუდიტის კომიტეტი.....	15
ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	16
მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები.....	17

შესავალი

აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება ევროკავშირის დირექტივის მოთხოვნებს, რომლის შესაბამისი ინსტრუქციები შემუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ.

მმართველობის ანგარიშის მიზანი და შინაარსი


მმართველობის ანგარიშების მიზანია, დაინტერესებულ პირებს სუბიექტის საქმიანობასთან, განვითარებასა და მდგომარეობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცნობის საშუალება მისცეს, რათა მათ შეძლონ სუბიექტის სამომავლო პესრსპექტივების და ძირითადი რისკების შეფასება, ასევე შეაფასოს რამდენად წარმატებულად ასრულებს სუბიექტი დასახულ მიზნებს.

საქმიანობის მიმოხილვა

თურქეთის ზირაათ ბანკი, თურქეთის საბანკო სექტორის დამფუძნებელი და ქვეყნის ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა, უკვე 150 წელიწადზე მეტია არის გზამკვლევი და ცვლილებების ლიდერი. იგი ოფიციალურად დაარსდა 1863 წლის 20 ნოემბერს, როგორც თანამედროვე ფინანსური ინსტიტუტი, რომელიც შეუდგა “საადგილ-მამულო ფონდების” ფუნქციის განხორციელებას და ბანკის ფილიალების სახით დაიწყო ოპერირება. “საადგილ-მამულო ფონდების” საკუთრებაში მანამდე არსებული აქციები გადაეცა ბანკს, ხოლო შემდგომში გაცემული აქციების განთავსებაც მოხდა ასევე ბანკის კაპიტალში. ბანკმა, მისი მმართველობის სტრუქტურის წყალობით, მკაფიოდ ჩამოყალიბებული მყარი პრინციპების საფუძველზე და მისი გამოცდილი და კვალიფიციური თანამშრომლების მეშვეობით ყოველთვის შეძლო მის წინაშე არსებული სირთულეების დაძლევა. ზირაათ ბანკმა გააფართოვა მისი მომსახურება, რათა გამხდარიყო “ყველა ჩვენთაგანის ბანკი” და დღემდე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ქვეყნის განვითარებაში. სხვა ქვეყნებთან სავაჭრო და ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, ზირაათ ბანკმა გახსნა არაერთი ფილიალი და შვილობილი ბანკი მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ზირაათ ბანკი არის ერთ-ერთი ყველაზე დიდი და უძველესი ბანკი თურქეთში, რომლის კაპიტალის 100% თურქეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საკუთრებაა. მან მოიპოვა წამყვანი ბანკის სტატუსი, რომელმაც ძალიან დიდ წარმატებას მიაღწია საუკუნის განმავლობაში დაგროვებული ცოდნით და მისი მომსახურების ხარისხისა და ცოდნის საფუძველზე შექმნა დამატებითი ღირებულება საზოგადოებისთვის.

ვაჭრობის სფეროში თურქეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობა და საქართველოში მოღვაწე თურქი ბიზნესმენებისთვის საბანკო მომსახურების გაწევის საჭიროება გახდა საფუძველი იმისა, რომ 1998 წელს თბილისში გახსნილიყო სს ზირაათ ბანკის თბილისის ფილიალი, რომელსაც 2013 წელს შეემატა ბათუმის სერვის-ცენტრი, 2016 წელს მარნეულის სერვის-ცენტრი და 2018 წელს წერეთლის სერვის-ცენტრი. 2017 წლის 1 მაისიდან სს “ზირაათ ბანკი საქართველო” ოპერირებს, როგორც შვილობილი (სუბსიდიარი) ბანკი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის თანამშრომელთა რაოდენობა შეადგენდა 44-ს.

ბანკის ჯგუფის სტრუქტურა



დამფუძნებელი	კუთვნილი წილი %	სათაო ოფისის მისამართი	საქმიანობის სფერო
თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკი	100%	დოღანბეი, ათათურქის ბულვარი, N 8. ულუს, ანკარა	საბანკო საქმიანობა Banking activity ID: 1148-48/7 რეგისტრაციის თარიღი : 12/06/1937

2018 წლის სექტემბრიდან თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის 100% წილის მფლობელია თურქეთის ქონების მართვის ფონდი, რომელიც ასევე 100% სახელმწიფოს კუთვნილება და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტია. თურქეთის ქონების მართვის ფონდის შექმნის მიზანია განავითაროს და გაზარდოს თურქეთის სტრატეგიული ობიექტების ღირებულება და შესაბამისად, უზრუნველყოს თურქეთის საინვესტიციო ბაზარზე რესურსების მოზიდვა (<http://turkiyevarlikfonu.com>)

დამფუძნებელი	კუთვნილი წილი %	მისამართი	საქმიანობის სფერო	აქციონერი
სს თურქეთის ქონების მართვის ფონდი	100%	ანკარა	ქონების ფონდის მართვა	სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული ინსტიტუტი (სახელმწიფოს კუთვნილება)

სს ზირაათ ბანკი საქართველოს აქციონერთა კრებას წარმოადგენს თურქეთის რესპუბლიკის სს ზირაათ ბანკის სამეთვალყურეო საბჭო.

სს “ზირაათ ბანკი საქართველო”-ს ხედვაა, იყოს ბანკი, რომელიც არის სანდო და ხელმისაწვდომი როგორც საქართველოში, ასევე მთელს მსოფლიოში, რომელიც თითოეულ მომხმარებელს სთავაზობს ხარისხიან მომსახურებას, რომლისთვისაც მომხმარებელი და ადამიანური რესურსები წარმოადგენს ყველაზე ღირებულ აქტივს, ორგანიზაცია, რომელიც თავისი ძირძველი და მდიდარი ისტორიის გათვალისწინებით, მუდმივად ქმნის განსხვავებულ ფასეულობას და ამავე დროს კონკურენტებისათვის სამაგალითო ბანკია.

მშობელი ბანკის ხედვისა და მისიის გათვალისწინებით, ბანკის ხედვაა იყოს უნივერსალური, მაღალი საბაზრო ღირებულების მქონე ბანკი.

ბანკის მთავარი მიზანია დივერსიფიცირებული პროდუქტი შესთავაზოს როგორც კერძო ასევე სახელმწიფო სექტორს, მათი განვითარების სიმძლავრისა და კაპიტალის გათვალისწინებით, მაგრამ პირველი ხუთი წლის განმავლობაში ბანკის ძირითადი მიზანია არა მხოლოდ მოგების მაქსიმალურად გაზრდა, არამედ საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ამოღება და ჯანსაღი ფინანსური კოეფიციენტების შენარჩუნება.

კაპიტალის ზრდისა და ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, ბანკი უფრო მეტ ინვესტიციას განახორციელებს ქართულ ეკონომიკაში და გაზრდილი რესურსების საშუალებით შეძლებს დააკმაყოფილოს მომხმარებელთა დაჩქარებული მოთხოვნები.

გარდა ამისა, სახელმწიფო და ეროვნული ბანკის ფასიანი ქაღალდები ბანკებს საშუალებას აძლევს მართონ ვადიანობის ნაპრალი შესაბამისი ვადიანი ინსტრუმენტების განთავსებით 3 თვიდან 10 წლამდე პერიოდის მიხედვით.

კორპორატიულ დაკრედიტებაში არსებული გამოცდილების გათვალისწინებით, მომავალში ბანკი იურიდიული პირებისთვის ასევე განახორციელებს ინვესტირებას კომერციულ დაკრედიტებაში და შესთავაზებს მომხმარებელს კონკურენტულ საპროცენტო განაკვეთს არსებულ საბაზრო სიტუაციაში.

რისკის მართვის სტრატეგიის ფარგლებში აქტივების ფორმირებისას, ბანკი შეეცდება შეინარჩუნოს ლიკვიდურობის საკმარისი დონე, მართოს აქტივები და ვალდებულებები, უზრუნველყოფს დივერსიფიკაციის დონე ინდუსტრიის და კლიენტების მოთხოვნების შესაბამისად.

უპირველეს ყოვლისა, ბანკი ხელსაყრელი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით, გაიმყარებს ბაზარზე არსებულ პოზიციას და კონკურენციას გაუწევს საქართველოში არსებულ სხვა ბანკებს.

საბაზო კაპიტალის ზრდასთან ერთად, ახალი კლიენტების სახსრების მოზიდვის გზით, ბანკი გაზრდის მატერიალურ ბაზასაც, საპროცენტო განაკვეთსა და ვადიან დეპოზიტებზე მრავალფეროვანი არჩევანის

შეთავაზება, ხელს შეუწყობს ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე თანხების ზრდის სტიმულირებას.

ბანკი მონაწილეობას მიიღებს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და ქსელის ეფექტურობის განვითარებაში, რითაც გააძლიერებს თავის პოზიციას საქართველოს ფინანსურ ბაზარზე.

ბანკი მიზნად ისახავს მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებას, თითოეულ კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომითა და სტანდარტული ტექნოლოგიების შერწყმით. ამგვარი სუბიექტური მიდგომა თითოეული მომხმარებლისთვის მიმართ წარმოქმნის სტაბილურობის განცდას რაც არის საწინდარი უაღრესად ერთგულ მომხმარებელთა ბაზის ჩამოყალიბებისა.

ბანკი მიზნად ისახავს კიდევ უფრო გააფართოვოს მომხმარებელთა ბაზა, შესთავაზოს მათ პროდუქტების გაუმჯობესებული ასორტიმენტი და უზრუნველყოს მათთან გრძელვადიანი თანამშრომლობა.

სუბიექტის განვითარების გეგმები

მომდევნო 5 წლის განმავლობაში ბანკი მიზნად ისახავს სწრაფი და სტაბილური ზრდის მიღწევას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის გაზრდითა და ქსელის გაფართოებით, მხედველობაში მიღებული იქნება ზრდასთან დაკავშირებული რისკები, სახედამხედველო კაპიტალის მოთხოვნები, რეგულაციები, პროცედურები და ლიმიტები.

ბანკის სტრატეგიული მიზნები მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად ფოკუსირდება მაღალი ხარისხის აქტივებზე, ახალი პროდუქტებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, ადამიანური რესურსებისა და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერებაზე. გონივრული საბანკო პრაქტიკის დაცვასა და რისკის მართვის პერსპექტივების გაძლიერებაზე. ამ მიმართულებით 2018 წელს ბანკის მიერ დაიწყო მოლაპარაკებები ვიზა და მასტერქარდ საბარათე სისტემებთან პარტნიორულ ურთიერთობაზე, პარალელურად შპს „ალტა სოფტვერთან“ -თან ერთად ბანკმა წამოიწყო ინტერნეტ ბანკინგის დანერგვის პროცესები, რომლის დასრულებაც იგეგმება 2019 წლის ბოლოსთვის.

ეკონომიკაში კრიზისის შედეგად გამოწვეული დანაკარგების თავიდან აცილების მიზნით, ბანკი ინვესტირებას განახორციელებს სხვადასხვა სექტორსა და მრეწველობაში, ამიტომ დივერსიფიცირებული სექტორის დაფინანსება, ბანკს საშუალებას მისცემს მიიღოს მაქსიმალური მოგება მინიმალური შესაძლო დანაკარგით. აგრეთვე თურქეთთან და სხვა ქვეყნებთან იმპორტ/ექსპორტის მონაცემების გათვალისწინებით, ბანკი დააფინანსებს სხვადასხვა იმპორტიორ ან ექსპორტიორ კლიენტებს მათი ფინანსური მდგომარეობისა და განცხადების სათანადო ანალიზის საფუძველზე.

შემდგომი სტრატეგიული მიზანი წარმოადგენს ქართული ფინანსური ბაზრისათვის შესაბამისი ახალი პროდუქტების განვითარებას. ამჟამად ბაზარზე საკმაოდ მცირე ფინანსური ინსტრუმენტები არის ხელმისაწვდომი, მაგრამ ფორვარდებისა და სვოპის განვითარებით, ბანკი საშუალებას მისცემს კლიენტებს განათავსონ თავიანთი სახსრები ან გამოიყენონ მრავალფეროვანი პროდუქტები და მიიღონ მაღალი შემოსავალი ნაკლები რისკის ფასად. აქედან გამომდინარე, მრავალმხრივი პროდუქტების შეთავაზებით, ბანკი თავად უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საბაზრო წილის მოპოვებას.

ბანკს სჭირდება სათანადო ტექნიკური ბაზა, რათა დივერსიფიცირებული პროდუქტი არა მარტო შესთავაზოს მომხმარებელს, არამედ შეინარჩუნოს მისი ფინანსური მდგომარეობა და მოამზადოს

ანგარიშგება, რომელიც საშუალებას მისცემს მენეჯმენტს შეისწავლოს ოპერაციული და ფინანსური ინვესტიციების ხარისხი. ამისათვის, ბანკი აგრძელებს ინვესტიციას მისი ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ამ მიმართულებით ბანკმა შპს „ალტა სოფტვეართან“-ერთად წამოიწყო ახალი სასესხო მოდულის დანერგვა, ასევე ფინანსური რეპორტირების გაუმჯობესების მიზნით დაიწყო BI და რეგულატორი რეპორტირების ავტომატიზაციის პროცესები, რომელიც უნდა დასრულდეს 2019 წლის ბოლომდე.

გარდა ამისა, ბანკი მიზნად ისახავს გახსნას ფილიალები და სერვის-ცენტრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რათა გააფართოვოს მომსახურების ქსელი და მოიპოვოს მნიშვნელოვანი საბაზრო წილი. საქართველოს ეკონომიკისათვის მათი მნიშვნელობის გათვალისწინებით, სერვის-ცენტრებისთვის პოტენციური ლოკაციის ადგილი არის თბილისი, ქუთაისი, რუსთავი.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2018 წლის 31 დეკემბრის აუდიტის დასკვნის მიხედვით, ბანკის ფინანსური მონაცემები შემდეგია: ზირაათ ბანკი საქართველოს მთლიანი აქტივები 2017 წლის ბოლოსთვის შეადგენდა 93,650,135 ლარს , ხოლო 2018 წლის ბოლოსათვის 114,981,120 ლარს, რაც 22,77 % -ით მეტია წინა წელთან შედარებით. ამასთანავე, ბანკის წმინდა საკრედიტო პორტფელი 90 %-ით გაიზარდა 2017 წელთან შედარებით და 2018 წელს შეადგინა 34,190,175 ლარი. გაცვლითი კურსის ეფექტის გარეშე პორტფელის ზრდა მოხდა 83 %-ით. რაც ძირითადად მოდის ბიზნეს სესხების დაფინანსებაზე, განსაკუთრებით სასტუმროებისა და სამომხმარებლო პროდუქტი იმპორტის მიმართულებით.

სასესხო პორტფელის ხარისხი 2018 წელსაც მაღალია, კერძოდ, უიმედო სესხები შეადგენს მთლიანი პორტფელის 0.49%. ასევე აღსანიშნავია რომ, კაპიტალის გაზრდიდან გამომდინარე განხორციელდა ინვესტიციის ზრდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებშიც, სულ ინვესტიციები სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატებსა და ფინ. სამინისტროს სახაზინო ვალდებულებებში გაზრდილია 81 %-ით.

ბანკის მფლობელთა კაპიტალი, 2017 წელთან შედარებით გაზრდილია 20 მლნ ლარით და შეადგენს 50 მლ. ლარს. კაპიტალის ზრდის საჭიროება გამოწვეულია სეზის რეგულაციების შესაბამისად

სს “ზირაათ ბანკი საქართველოს” 2018 წლის აუდიტირებული ფინანსური უწყისების მიხედვით, წმინდა მოგება გაზრდილია 110,68 %-ით, 1,479,036 ლარიდან 3,115,975 ლარამდე, რაც ძირითადად გამოწვეულია საპროცენტო შემოსავლის 42,2% ზრდით და ფასს9 მეთოდოლოგიის დანერგვის გამო სესხების შესაძლო დანაკარგის რეზერვის ხარჯის ამოზღუდვით, რაც ასევე პორტფელის ზრდის პირობებში დადებითად აისახა სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვის კოეფიციენტის შემცირებაში 2017 წელთან შედარებით 4,98% დან 2,02% მდე.

ასევე ეს მოგების ზრდა დადებითად აისახა ბანკის ROA , ROE კოეფიციენტებზე.

ბანკის ფინანსური მაჩვენებლების ცხრილი იხ. ქვემოთ:

მომგებიანობა		
მთლიანი საპროცენტო შემოსავლები / საშუალო წლიურ აქტივებთან	5.16%	3.31%
მთლიანი საპროცენტო ხარჯები / საშუალო წლიურ აქტივებთან	0.25%	0.32%

საოპერაციო შედეგი / საშუალო წლიურ აქტივებთან	3.14%	1.64%
წმინდა საპროცენტო მარჟა	4.21%	3.00%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	3.51%	1.13%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	8.25%	3.72%
აქტივების ხარისხი		
უმოქმედო სესხები / მთლიან სესხებთან	2.28%	7.30%
სშდრ / მთლიან სესხებთან	2.02%	4.98%
უცხოური ვალუტით არსებული სესხები / მთლიან სესხებთან	43.54%	59.79%
უცხოური ვალუტით არსებული აქტივები / მთლიან აქტივებთან	38.50%	56.31%
მთლიანი სესხების წლიური ზრდის ტემპი	85.45%	20.81%
ლიკვიდობა		
ლიკვიდური აქტივები / მთლიან აქტივებთან	64.05%	76.00%
უცხოური ვალუტით არსებული ვალდებულებები / მთლიან ვალდებულებებთან	72.50%	85.84%
მიმდინარე და მოთხოვნამდე დეპოზიტები / მთლიან აქტივებთან	46.93%	63.58%
ლიკვიდობის გადამფარვის კოეფიციენტი *** ბაზელ III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		
მაღალი ხარისხის ლიკვიდური აქტივები (სულ)	50,191,810	
ფულის წმინდა გადინება (სულ)	20,249,648	
ლიკვიდობის გადამფარვის კოეფიციენტი (%)	248%	
კაპიტალის მოთხოვნები ბაზელ II/III-ზე დაფუძნებული ჩარჩოს მიხედვით		-
ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=8.76092663042182%	54.59%	49.40%
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი >=10.850622483932%	54.59%	49.40%
საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტი >=20.008856639802%	55.86%	50.32%

მოგება-ზარალი და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება, საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“
(აუდირებული მონაცემები)

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	4,583,755	3,408,489
საპროცენტო ხარჯი	(217,811)	(350,100)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4,365,944	3,058,388
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	225,690	(266,649)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების შესაძლო დანაკარგების გამოკლების შემდეგ	4,591,634	2,791,740
საკომისიო შემოსავალი	1,188,478	1,117,388
საკომისიო ხარჯი	(629,112)	(536,608)
შემოსავალი უცხოური ვალუტის ოპერაციებიდან	1,519,978	1,799,643

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,815,284)	(3,534,389)
სხვა შემოსავალი	159,225	180,662
გაცემული გარანტიების რეზერვის ცვლილება	198,535	(139,217)
სხვა აქტივების რეზერვების ცვლილება	32,997	-
ზარალი საკუროს სხვაობიდან	(102,310)	(137,982)
მოგება დაბეგრამდე	3,144,141	1,541,237
მოგების გადასახადის ხარჯი	(28,166)	(62,201)
წლიური მოგება	3,115,975	1,479,036

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“ (აუდირებული მონაცემები)

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვი სებ_ში	10,372,884	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები	34,190,175	17,917,715
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,073	15,815,783
სავაჭრო მოთხოვნები	1,865,585	-
სხვა აქტივები	205,395	253,373
ძირითადი საშუალებები	4,038,931	3,540,429
არამატერიალური აქტივები	311,517	221,460
სულ აქტივები	114,981,120	93,650,135
ვალდებულებები		
კლიენტთა ანგარიშები	59,563,749	61,630,939
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	2,023,209	783,621
გაცემული გარანტიების რეზერვი	29,871	228,406
სხვა ვალდებულებები	274,714	142,964
საგადასახადო ვალდებულება	-	27,178
სულ ვალდებულებები	61,891,543	62,813,109
კაპიტალი		
მფლობელთა კაპიტალი	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება	3,089,577	833,037
სხვა რეზერვი	-	3,989
სულ კაპიტალი	53,089,577	30,837,026
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	114,981,120	93,650,135

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, საანგარიშგებო ვალუტა „ლარი“ (აუდირებული მონაცემები)

					სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სხვა რეზერვი	სულ კაპიტალი
ბალანსი 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით					15,204,182	6,440,789	7,989	21,652,960
კაპიტალის შემცირება					(15,204,182)	-	-	(15,204,182)
კაპიტალის გაზრდა					30,000,000	(4,775,496)	-	25,224,504
კაპიტალის გაზრდა						646,780	-	646,780
ამორტიზაცია						-	(4,000)	(4,000)
პერიოდის შედეგი						(1,479,036)		(1,479,036)
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					30,000,000	833,037	3,989	30,837,026
კაპიტალის შემცირება					-	(859,435)	-	(859,435)
კაპიტალის გაზრდა					20,000,000	-	-	20,000,000
ამორტიზაცია					-	-	(3,989)	(3,989)
პერიოდის შედეგი					-	3,115,975	-	3,115,975
ბალანსი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					50,000,000	3,089,577	-	53,089,577

კაპიტალის მართვა

ბანკის მიზანი კაპიტალის მართვისას არის კაპიტალის მიმართ სებ-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა, ბანკის ფუნქციონირებად საწარმოდ მუშაობის უზრუნველყოფა და საჭიროების შემთხვევაში საკრედიტო ხელშეკრულების მოთხოვნების დაცვა.

საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური მოცულობის გაანგარიშებას ზირაათ ბანკი საქართველო, პილარ 2-ს ფარგლებში, ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის ინსტრუქციისა და ბაზელის დედანი დოკუმენტში მოცემული რეკომენდაციების შესაბამისად.

ბანკის შიდა კაპიტალის ადეკვატურობის პროცესზე პასუხისმგებელი ორგანოები არის ბანკის დირექტორატი, რომელსაც ამ პასუხისმგებლობის შესრულებისათვის დახმარებას უწევს ბანკში არსებული სხვადასხვა სტრუქტურული ერთეული. ბანკი ყოველწლიურად განიხილავს და ამტკიცებს შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესს. ასევე უზრუნველყოფს შიდა კაპიტალის

ადეკვატურობის შეფასების პროცესის ადეკვატურობასა და ყველა მატერიალური რისკის განსაზღვრას, რომელიც გამომდინარეობს ბანკის სტრატეგიიდან, ბიზნეს მოდელიდან, ბანკის ზომასა და კომპლექსურობიდან და ყოველდღიური საქმიანობიდან.

საქართველოს ეროვნული ბანკის 2017 წლის 3 მაისის „კომერციული ბანკებისათვის საზედამხედველო კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N61/04 ბრძანების თანახმად, საბანკო ლიცენზიის მიღებით დაინტერესებული იურიდიული პირისა და ლიცენზირებული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალის მოთხოვნა 50 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრება. ლიცენზირებული კომერციული ბანკებისათვის აღნიშნული მოთხოვნის შესრულების ვადა სამ ფაზად იყოფა კერძოდ, აღნიშნული კომერციული ბანკების მინიმალური საზედამხედველო კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისათვის უნდა შეადგენდეს არანაკლებ 30 მილიონ ლარს, 2018 წლის 30 ივნისისათვის - არანაკლებ 40 მილიონ ლარს და - 2018 წლის 31 დეკემბრისათვის არანაკლებ 50 მილიონ ლარს.

სებ-ის მოთხოვნით, ბანკებმა უნდა შეინარჩუნონ კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 9,6 %-ის ოდენობით და 6,4 % პირველადი კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი.

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლას ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით 2017 და 2018 წლებისთვის.

ბაზელ III

2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტის გამოთვლა, ბაზელ III -ის რეგულაციის მიხედვით. აღნიშნულ ცხრილში 2018 და 2017 წლებში გათვალისწინებულია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებაში“ შეტანილი ცვლილებები:

	2018	2017
მფლობელთა კაპიტალი	50,000,000	30,000,000
გაუნაწილებელი მოგება სებ-ის რეგულ. მიხედვით	2,271,094	859,435
მინუს: არამატერიალური აქტივები	(311,517)	(221,460)
პირველადი კაპიტალი	51,959,577	30,637,975
საერთო რეზერვები	1,207,097	570,237
მეორადი კაპიტალი	1,207,097	570,237
საზედამხედველო კაპიტალი	53,166,674	31,208,212
რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები სებ-ის რეგ. (RWA)	95,184,281	62,018,876
პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (პირვ.კაპ / RWA)	54.59%	49.4%
საზედამხ. კაპიტალის კოეფიციენტი (საზედ.კაპ / RWA)***	55.86%	50.3%

***რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების დათვლის მეთოდოლოგიის ცვლილების შესაბამისად, სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი აღარ იღებს მონაწილეობას სულ რისკის

მიხედვით შეწონილ რისკის პოზიციებში. რამაც შესაბამისად გამოიწვია, ბაზელ III-ზე დაფუძნებული რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების და კაპიტალის კოეფიციენტების ცვლილება.

დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS

24 -ით „მნიშვნელები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ,ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (a) ან (d)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (d) ან (e)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისათვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

შემდგომი ოპერაციები განხორციელდა დაკავშირებულ მხარეებთან:

საბოლოო ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2017 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2018	2017
მიმდინარე ანგარიშები ზირაათ ბანკის სათავო ოფისში	588,881	15,574,949
დეპოზიტები სს ზირაათ ბანკის სათავო ოფისში	14,453,640	-
სესხები მენეჯმენტს	105,142	209,867
სესხები სხვა დაკავშირებულ მხარეებთან	55,352	119,679
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	2,026,055	783,621
მენეჯმენტის მიმდინარე ანგარიშები	38,772	11,075
სხვა დაკავშირებული მხარეების მიმდინარე ანგარიშები	13,040	10,567
მენეჯმენტის კომპენსაცია	868,286	579,251

ახალი შესწორებული სტანდარტების მიღება და ინტერპრეტაციები
ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები

2018 წლიდან ძალაში შევიდა ფასს 9 სტანდარტი, რომელიმაც ჩაანაცვლა ბას39, და რომელიც მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაციის, გაზომვის, გაუფასურების, ჰეჯირების აღრიცხვისა და აღიარების, შეწყვეტის წესებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურებისთვის ფასს 9 სტანდარტში შემოტანილია „მოსალოდნელი კრედიტის დანაკარგის“ მოდელი, რომელიც დაფუძნებულია კონტრაქტის საწყის ეტაპზე მოსალოდნელი ზარალის გათვალისწინების პრინციპზე. კრედიტის დანაკარგის აღიარებისთვის აუცილებელი აღარ იქნება გაუფასურების ობიექტური მიზეზის არსებობა.

აუდიტისა და რისკების კომიტეტი

ბანკის კორპორაციული მართვის სისტემის მნიშვნელოვანი რგოლია აუდიტის კომიტეტი, რომელიც ახორციელებს ზედამხედველობას შიდა აუდიტის დეპარტამენტის საქმიანობაზე და იცავს აქციონერთა ინტერესებს ფინანსური ანგარიშგების შედგენის საიმედოობის თვალსაზრისით. აუდიტის კომიტეტი არის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეული, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე.

აუდიტის კომიტეტის სხდომები ტარდება მინიმუმ კვარტალში ერთხელ. კომიტეტის საგანგებო სხდომა შესაძლებელია ჩატარდეს სამეთვალყურეო საბჭოს ან აუდიტის კომიტეტის ნებისმიერი წევრის ან დირექტორთა საბჭოს მოთხოვნის საფუძველზე.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

რისკების სტრატეგია

სს „ზირათ ბანკი საქართველოს“ რისკის სტრატეგია გამომდინარეობს ბანკის ბიზნეს სტრატეგიიდან, რომელიც შესაბამისობაშია რისკის აპეტიტთან და განსაზღვრავს ბანკის ზრდის ტემპს, სასურველ ფინანსურ შედეგებს, დაკრედიტების სფეროების პრიორიტეტულობას, ბანკის შიდა სტრუქტურასა და დიზაინს. ბანკის ბიზნეს სტრატეგია გამყარებულია შესაბამისი შიდა პოლიტიკებითა და პროცედურებით.

ბანკი აღნიშნული პერიოდისათვის გეგმავს სტაბილურ და სწრაფ ზრდას, რომელიც ძირითადად გამოხატული იქნება საკრედიტო პორტფელის ზრდით. ბანკი აცნობიერებს სწრაფ ზრდის ტემპთან დაკავშირებულ რისკებს და ახდენს მათ მიტიგაციას, როგორც ჭარბი საზედამხედველო კაპიტალით ასევე პოლიტიკებით, პროცედურებითა და ლიმიტებით.

რისკის სტრატეგია გაცნობიერებულია ბანკის ყველა სტრუქტურული ერთეულების დონეზე და ბიზნეს სტრატეგიის გარდა გამოხატულია ბანკის რისკის მართვის პოლიტიკაში. მნიშვნელოვანია, რომ ბანკის რისკის სტრატეგიის განხორციელების აღსრულება ხდება ბანკის დირექტორატისა და შესაბამისი რისკზე პასუხისმგებელი ორგანოების მიმართ, ამ პროცესს კი ზედამხედველობას უწევს სათაო ოფისი.

რისკის მართვის ჩარჩო

ბანკში მოქმედებს რისკების მართვის 3 დონიანი დაცვის მოდელი. მოდელი გამოიყენება ვალდებულებების და პასუხისმგებლობების გასამიჯნად, რათა მიღწეული იყოს მთლიანი რისკების ეფექტური მართვა, რომელიც ხელს შეუწყობს ბანკის შიდა კონტროლის ჩარჩოს გაძლიერებას. ყველა დონეზე შესაბამისი პასუხისმგებელი ორგანო იღებს მონაწილეობას.

რისკის მართვა დანერგილია ბანკის ყველა დონეზე, პასუხისმგებლობები ამა თუ იმ რისკისათვის გაცნობიერებულია და მისი მართვა ხდება მმართველობის ყველა რგოლში.

რისკის მართვის დონეები მოცემულია #1 ცხრილში:



პირველი დონე - არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- დაკრედიტების ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს დადგენილი საკრედიტო პოლიტიკის ფარგლებში საკრედიტო საქმიანობის წარმოებას;
- სახაზინო ოპერაციების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს სახაზინო ოპერაციების წარმოებას რომლებიც დაკავშირებულია საბაზრო რისკების, მათ შორის ლიკვიდობის, სავალუტო და საპროცენტო რისკებთან;
- საკრედიტო კომიტეტი ძირითადად პასუხისმგებელია კლიენტების ფინანსური მდგომარეობისა და გადახდისუნარიანობის შეფასებაზე, სასესხო გადაწყვეტილებების მიღებასა და სესხების ამოღების პრაქტიკის მიმოხილვაზე. აღსანიშნავია, რომ საკრედიტო დეპარტამენტი წარმოადგეს პირველ და მეორე დონეს ერთდროულად, ვინაიდან იგი დაკომპლექტებულია როგორც ბიზნესის ხაზის წარმომადგენლებით (პირველი დონე), ასევე რისკების და სესხის თანხის ზომიდან გამომდინარე სხვა სტრუქტურების წარმომადგენლებით (მეორე დონე);

მეორე დონე - არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე:

- რისკების მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია შემაჯამებელ რისკებზე და კურირებს როგორც ფინანსურ ასევე არაფინანსურ რისკებს, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულში სხვა რისკებთან ერთად იმართება საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკები, ხდება მათი მართვა, შეფასება და ბანკის ბიზნეს სტრატეგიასთან შესაბამისობის გაანალიზება;
- ფინანსური მართვის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს ფინანსური ოპერაციების დაგეგმვას, ბანკის ლიკვიდობის მართვას და აქტიურად მონაწილეობს აქტივ-პასივების მართვის კომიტეტში;
- შესაბამისობის ფუნქციონალური ერთეული, რომელიც ახდენს AML/CFT და საქართველოს ეროვნული ბანკის სხვა რეგულაციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

მესამე დონე: უზრუნველყოფს ბანკის მასშტაბური რისკების მართვას და რისკის სტრატეგიის განსაზღვრას. მესამე დონე არის შემდეგი სტრუქტურული ერთეულების დონე: - შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც ახდენს რისკი მართვის პროცესის ადეკვატურობისა და ეფექტურობის შეფასებას და პერიოდულ მოხსენებას აკეთებს ბანკის მმართველობის ზედა რგოლებთან.

- აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი, რომელიც ახორციელებს რისკის მართვას ორგანიზაციის დონეზე, ახდენს ფინანსური რისკების გაანალიზებას, მონაწილეობს ლიმიტების დამტკიცებაში და ბანკის საბალანსო პოზიციების განხილვას ფინანსური წყაროების მოძიების მიზნებისათვის, ასევე ბანკის საპროცენტო განაკვეთების პოლიტიკის მონიტორინგს

- რისკების მართვის კომიტეტი: ახდენს ბანკის წინაშე არსებული რისკების მონიტორინგს, უზრუნველყოფს რისკის მიმართ ტოლერანტობის დონისა და მათი მართვის შესაბამისობას ბანკის სტრატეგიასთან, აფასებს შიდა კონტროლისა და რისკების მართვის ეფექტურობის შეფასებას.

- დირექტორატი: უზრუნველყოფს მოვალეობების ადეკვატურ გადანაწილებას, ბანკის მიერ აღებული რისკების ერთობლიობის შესაბამისობას სათაო ბანკის მიერ განსაზღვრულ სტრატეგიასთან და უძღვება ბანკის ყოველდღიურ საქმიანობას.

- სათაო ბანკი: განსაზღვრავს ბანკის რისკისა და ბიზნეს სტრატეგიებს, ამტკიცებს რისკების კონტროლის სქემას და მიმოიხილავს ბანკის მუშაობას რისკებისა და ფინანსური შედეგების კუთხით.

რისკის მართვის პროცესი

ბანკი ხელმძღვანელობს სათაო ბანკის მიერ განსაზღვრული რისკის დონის ფარგლებში. სტრატეგიულ დონეზე განსაზღვრული რისკის დონისა და სტრატეგიული ბიზნეს გეგმის შესაბამისად, ბანკს განსაზღვრული აქვს შიდა პროცესები, რომლის მიხედვითაც ხდება რისკების მართვა, ვინაიდან ეს წამოადგენს ბანკის საქმიანობის ფუნდამენტურ ნაწილს და განუყოფელია პროცესების დაგეგმვისაგან. შესაბამისად რისკის მართვა ინტეგრირებულია ბანკის საქმიანობის ყველა დონეზე. ბანკისათვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკებისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ერთობლიობის დაგეგმვა, ფინანსური სიძლიერის გარანტირება და ბიზნესის ზრდის მდგრადი ზრდის მხარდაჭერა. რისკის მართვის პროცესი იყოფა ხუთ ძირითად ეტაპად:

- **იდენტიფიცირება:** რისკების განსაზღვრა ბანკის სტრატეგიიდან გამომდინარე, მათ მიმართ ტოლერანტობის დადგენა და რისკის მფლობელის განსაზღვრა;
- **შეფასება:** პროცესის, ანგარიშებისა და შეფასების სტანდარტების მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- **კონტროლი:** ოპერაციებისა და რისკების ლიმიტების დაცვის მონიტორინგი, ზარალის კონტროლი და მისი ადრეულ ეტაპზე შეტყობინება;
- **ანგარიშგება:** რისკის გაწევის შედეგების, სენსიტიურობისა და ძირითადი რისკების ინდიკატორების ინტერპრეტირება და ანგარიშგება;
- **მართვა:** ბანკის რისკების ყველა მიმართულების მიმოხილვა და კონტროლი, რისკის დონისა და შემოსავლიანობის ოპტიმალური ბალანსის პოვნა, რისკის მართვის პრაქტიკის კონტროლი, ბიზნეს გარემოსთან და სტრატეგიულ გეგმებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.

რისკის აპეტიტი

სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ ბიზნეს სტრატეგია, რომელიც განისაზღვრება სათაო ბანკის მიერ, არის მისი რისკის სტრატეგიისა და რისკის აპეტიტის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი. რისკის აპეტიტის

განსაზღვრა ხდება სათაო ბანკის მიერ ბანკის რისკის მართვის ჩარჩოსა და საქართველოში არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

რისკის აპეტიტი არის გზამკვლევი ბანკის ყველა დონის მენეჯერისათვის იმისათვის რათა იმოქმედონ რისკის სტრატეგიის შესაბამისად. რისკის აპეტიტი გამოხატულია როგორც რაოდენობრივი ასევე ხარისხობრივი ლიმიტებით, რაც საშუალებას იძლევა, გადაწყვეტილების მიღებისას მმართველობის ყოველმა რგოლმა, წინასწარ გაანალიზოს და შეაფასოს საკუთარი საქმიანობა და ის, თუ რამდენად შესაბამისობაშია კონკრეტული გადაწყვეტილება ბანკის რისკის აღების სურვილთან.

რისკის აპეტიტი დაინტერესებულ მხარეებს ეხმარება, ბანკისათვის მიუღებლად მაღალი რისკის, თავიდან არიდებაში და მაღალი რისკის იდენტიფიცირებაში მისი გაჩენის საწყის ეტაპზე, რაც უზრუნველყოფს ბანკის მიერ მოუღონელი რისკის თავიდან აცილებასა და არსებული რისკის დროულად მართვას.

მნიშვნელოვანი ფინანსური და არაფინანსური რისკები

- საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ყველაზე მატერიალური რისკია ბანკისთვის, რაც გამოიხატება კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით მიღებულ ზარალში. საკრედიტო რისკი ბანკს შესაძლოა წარმოეშვას კრედიტების გაცემით, სახაზინო საინვესტიციო საქმიანობის შედეგად და სხვა. ბანკს აქვს საკმარისი კაპიტალი, რათა გადაფაროს ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალები და ამასთან, არ დააზიანოს საკუთარი ოპერაციები და იმიჯი.

ამჟამად ბანკისთვის საკრედიტო რისკის გამომწვევი ძირითადი წყაროებია:

- საბალანსო სასესხო პორტფელი
- გარესაბალანსო ელემენტები - გარანტიები

ბოლო პერიოდში სწრაფი ზრდის მიუხედავად ბანკი ინარჩუნებს კონსერვატიულ მიდგომებს კრედიტების გაცემის დროს, რაც გამოიხატება:

1. საკრედიტო კომიტეტის მუშაობით, რომელიც ინდივიდუალურად აფასებს მსესხებლის გადახდისუნარიანობას და ამტკიცებს სესხებს და გარანტიებს სადაც აუცილებელი წესით მოითხოვება წევრთა სრული უმრავლესობის თანხმობა.
2. კონსერვატიული შიდა საკრედიტო პროდუქტების სტანდარტებით
3. მაღალი რისკის მქონე სექტორების და პროდუქტების დაფინანსების შეზღუდვით
4. მაღალი ხარისხის მიტიგაციის ელემენტების გამოყენებით როგორებიცაა, უძრავი ქონება და მაღალის რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების გარანტიები

ბანკის საკრედიტო პორტფელი ხასიათდება მაღალი უზრუნველყოფის ხარისხით სადაც უძრავი ქონების წილი დომინანტურია; სესხის უზრუნველყოფა სათანადო წესით დარეგისტრირებული და შეფასებულია ეროვნული ბანკის სტანდარტების დაცვით.

	უძრავი ქონება		მესამე პირის გარანტია		არაუზრუნველყოფილი		სულ გირაო	LTV
	საბალანსო	გირაო	საბალანსო	გირაო	საბალანსო	მთლიანი სესხები		
ბიზნესი	10,307,821	33,074,782	-	38,639,581	-	10,307,821	71,714,363	14.37%
სამომხმარებლო	2,807,510	10,994,005	286,555	2,801,279	579,483	3,673,548	13,795,283	26.63%
კორპორატიული	10,656,188	38,529,042	5,029,055	39,804,778	-	15,685,243	78,333,819	20.02%
იპოთეკური	5,227,970	12,576,521	-	4,303,169	-	5,227,970	16,879,689	30.97%
სულ	28,999,489	95,174,349	5,315,610	85,548,805	579,483	34,894,581	180,723,155	19.31%

საკრედიტო პორტფელის მაღალი პროცენტული ზრდის პირობებშიც სრულად არაუზრუნველყოფილი სესხების წილი მცირე რჩება:

გირაოს თანხის ოდენობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაგენტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. გირაოს ეფექტი განისაზღვრება გირაოს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრით საანგარიშგებო თარიღისთვის მთლიანი სესხებისა და ავანსებთან შედარებით.

საკრედიტო რისკების შეფასების კუთხით, ბანკში დანერგილია ფინანსური აქტივების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღრიცხვის მოდელი შესაბამისი პოლიტიკით და მეთოდოლოგიით. ფასს 9-ის მიხედვით საკრედიტო რისკების შეფასებისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპროგნოზო ინფორმაციის ანალიზს. კერძოდ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებისას გათვალისწინებულია მაკროეკონომიკური და ფინანსური ფაქტორების ანალიზი, მოსალოდნელი ტენდენციები და რისკები.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების რეზერვის გამოთვლისას გამოიყენება მოსალოდნელი ზარალის მიდგომა, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს საკრედიტო რისკის შეფასების პროცესს.

	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	34,894,581	18,847,811
სესხის გაუფასურების რეზერვი		
საწყისი ბალანსი	(930,096)	(660,821)
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის ცვლილება	225,690	(269,274)
საბოლოო ნაშთი	(704,406)	(930,096)
ლიენტებზე გაცემული სესხები (წმინდა)	34,190,175	17,917,715
სესხის შესაძლო დანაკარგის რეზერვის ფარდობის კოეფიციენტი	2.02%	5.19%

მოსალოდნელი დანაკარგის შეფარდება საკრედიტო პორტფელთან შემცირებულია და შეადგენს 2.02%-ს. საკრედიტო პორტფელის მაღალი ზრდის ტემპის მიუხედავად მოსალოდნელი დანაკარგის დონე რჩება დაბალი, რაც ბანკის დაკრედიტების კონსერვატიული მიდგომების შენარჩუნებით აიხსნება.

ბანკის პოლიტიკა საკრედიტო რისკების მართვასთან დაკავშირებით მიზნად ისახავს თითოეული სესხის კლასიფიკაციას გაუფასურების მითითებით ან გაუფასურების მითითების გარეშე.

საკრედიტო ხარისხი	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სესხები გაუფასურების ინდიკატორების გარეშე	33,705,664	17,097,004
სესხები გაუფასურების ინდიკატორებით	954,052	1,595,149
სულ საკრედიტო ხარისხი	34,659,716	18,692,153

ბანკი აქტიურად ოპერირებს ასევე საგარანტიო პროდუქტების კუთხით და გაცემს სხვადასხვა ტიპის გარანტიებს: შესრულების გარანტია, საავანსო გარანტია, საბაჟო გარანტია, სატენდერო გარანტია გარანტიებისგან წარმოშობილი საკრედიტო რისკის მიტიგაციისთვის ბანკი იყენებს მაღალი ხარისხის უძრავი ქონების უზრუნველყოფას და მაღალი რეპუტაციის მქონე ფინანსური ინსტიტუტების კონტრა გარანტიებს.

გაცემული გარანტიები	გაცემული გარანტიები	შესაძლო დანაკარგების რეზერვი	%
კორპორატიული	22,004,738	24,651	0.11%
სმე	4,649,862	5,220	0.11%
სულ	26,654,600	29,871	0.11%

სახაზინო და საწვებსტიციო საქმიანობიდან წარმოშობილი საკრედიტო რისკის აღბათობა დაბალია, რადგან ბანკი არ არის აქტიური საინვესტიციო საქმიანობის კუთხით. საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების სახით წარმოდგენილია სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები, ლიკვიდური აქტივების მართვის მიზნობრივობით.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	31-დეკ-2018	31-დეკ-2017
სეზ-ის სადეპოზიტო სერტიფიკატები	21,750,575	12,849,614
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები	6,954,498	2,966,168
სულ დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,073	15,815,782

- **კონცენტრაციის რისკი**

ბანკისთვის საკრედიტო კონცენტრაციის რისკი საშუალოზე დაბალია. კონცენტრაციის რისკი გიულისხმობს რისკის პოზიციის მსხვილი კონცენტრაციების შექმნის საშიშროებას როდესაც ერთმა მოვლენამ (ერთი კონტრაგენტის ვალდებულების შეუსრულებლობა ან სირთულეები ერთ სექტორში) შესაძლოა გამოიწვიოს მნიშვნელოვანი მოცულობის ზარალი.

კონცენტრაციის რისკის დათვლა ხდება ორი მიმართულებით, პირველი არის სახელობითი კონცენტრაცია HHI-ს (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი) დახმარებით, ხოლო მეორე არის სექტორული კონცენტრაცია, რომელიც ითვლება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სექტორების დასახელებების მიხედვით.

	2018	2017
სახელობითი კონცენტრაცია	3.99%	2.10%
სექტორული კონცენტრაცია	17.31%	9.64%

ბანკის საკრედიტო პორტფელის კონცენტრაცია გაზრდილია მაგრამ, რჩება საშუალოზე დაბალი მაჩვენებლის ფარგლებში. ბანკი ითვალისწინებს შესაფაბი ბუფერებს კაპიტალის ადექვატურობის მიზნებისთვის.

- **სტრეს ტესტები**

ბანკი ახორციელებს სტრეს ტესტს მინიმუმ წელიწადში ერთხელ ეროვნული ბანკის სტრეს ტესტების მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით და შიდა კაპიტალის ადექვატურობის შეფასების პოლიტიკის მიხედვით (ICAAP)

სტრეს ტესტი გულისხმობს სხვასხვა შოკების ეფექტებისგან შესაძლო ზარალების შეფასებას და გავლენას ბანკის საზედამხედველო კაპიტალზე. შოკი გულისხმობს გლობალურად ეკონომიკური აქტივობის შენელებას, რეცესიას რეგიონის ქვეყნებში რის შედეგადაც:

- მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი რაც აისახება კომპანიების ბრუნვებზე
- იზრდება საპროცენტო განაკვეთები
- სასაქონლო პროდუქტებზე (ოქრო და სხვა) ფასების შემცირება
- ეროვნული ვალუტის გაუფასურება
- უძრავი ქონების ფასების შემცირება
- დასაქმებულთა როდენობის და შემოსავლების შემცირება

- **სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკი (CICR)**

საკრედიტო რისკის ზოგად დონეზე შესაძლოა დამატებითი წნეხი ქონდეს ისეთი კრედიტების არსებობას როდესაც მსესხებელ სრულად ან ნაწილობრივ არაპეჯირებულია გაცვლითი კურსის მხრივ. როდესაც სესხი გაცემულია ერთ ვალუტაში ხოლო მსესხებლის შემოსავალი ფორმირებულია სხვა ვალუტაში, რამაც შესაძლოა მსესხებელს დამატებითი წნეხი შეუქმნას რაც სხვა შემთხვევაში არ შეექმნებოდა.

სავალუტო კურსის ცვლილებით გამოწვეული საკრედიტო რისკის იდენტიფიცირებასა და კლასიფიკაციას ბანკი ახდენს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დამტკიცებული, სს „ზირაათ ბანკი საქართველოს“ რისკის პოზიციების იდენტიფიცირებისა და კლასიფიცირების შესაბამისად. შესაბამისად ხდება ასეთი რისკის პოზიციების იდენტიფიცირება და მათი გავლენა კაპიტალზე.

ბანკი სესხის ანალიზის დროს ცდილობს არ გასცეს ისეთი კრედიტები რომლებიც დამატებით გაზრდიან საკრედიტო რისკის დონეს ამისათვის სთავაზობს მომხმარებლებს სესხებს როგორც ადგილობრივ ასევე უცხოურ ვალუტაში.

- **საპროცენტო რისკი**

საპროცენტო რისკი გამომდინარეობს საპროცენტო განაკვეთის მიერ მგრძნობიარე აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად მისაღებ შესაძლო ზარალიდან.

საპროცენტო რისკის მონიტორინგის მიზნებისთვის ბანკის იყენებს აქტივების და ვალდებულებების გადაფასების გეგმის ანალიზს, რის მიხედვითაც ბანკი არის აქტივების მხრივ მგრძნობიარე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების მიმართ რაც გულისხმობს რომ ზარალი მოსალოდნელია საპროცენტო განაკვეთების შემცირების პირობებში. ბანკი რეგულარულად ატარებს საპროცენტო განაკვეთის მიმართ მგრძნობიარობის ანალიზს სტრეს ტესტის ფაგლებში როდესაც გაითვალისწინება მყისიერი შემცირება განაკვეთების 2%-ის ოდენობით.

ასევე ბანკს არ გააჩნია სავაჭრო ფასიანი ქაღალდები და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას, შესაბამისად საპროცენტო განაკვეთების ცვლილების შედეგად საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები არ გადაფასდება და ეფექტი მინიმალურია.

- **სავალუტო რისკი**

სავალუტო რისკი გულისხმობს ვალუტის კურსის ცვლილების შედეგად ბანკის აქტივების და ვალდებულებების გადაფასების შედეგად შესაძლო ზარალის მიღების ალბათობას.

სავალუტო რისკმა შეიძლება შეამციროს საზედამხედველო კაპიტალის კოეფიციენტები, რადგან ბანკის კაპიტალი ადგილობრივ ვალუტაშია წარმოდგენილი, ხოლო მისი აქტივების დიდი ნაწილი დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ასეთ შემთხვევაში, ადგილობრივი ვალუტის გაუფასურება გამოიწვევს კაპიტალის ადეკვატურობის მნიშვნელოვან გაუარესებას, რადგან უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი აქტივების ღირებულება მოიმატებს (ლარის გაუფასურების გამო) და, შესაბამისად, ბანკს ექნება უფრო მეტი რისკის მიხედვით შეწონილი აქტივები, ხოლო ლარში დენომინირებული კაპიტალის მოცულობა უცვლელი დარჩება. ბანკის რეგულარულ სტრეს ტესტებში გაითვალისწინება მკვეთრი გაუფასურება ვალუტების და გამოთვლება დასტრესილი კოეფიციენტები.

ბანკი იკავებს შესაბამის კაპიტალის მოცულობას, რათა არ შეექმნას პრობლემა ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალების დაფარვისას, გარდა ამისა, ბანკი ყოველდღიურად აკონტროლებს კრეზითი ღია სავალუტო პოზიციის მაჩვენებელს და არ ეწევა სპეკულაციურ საქმიანობას ღია სავალუტო პოზიციის დაჭერის გზით.

2018წ. ბოლოს ბანკის კრეზითი სავალუტო პოზიციის შეფარდება საზრედამხედველო კაპიტალთან ეროვნული ბანკის მოთხოვნებიდან გამომდინარე შეადგენდა -0,3% (ლიმიტი -20% < 20%)

რისკის სტრატეგიიდან გამომდინარე ბანკის მიზნობრივი სავალუტო პოზიცია არის დახურული პოზიცია, აქედან გამომდინარე სავალუტო რისკის ალბათობა არის დაბალი.

- **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკია, რომელსაც ზირაათ ბანკი საქართველოში მიიჩნევს მატერიალურად. საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც გამოწვეულია გაუმართავი ან ჩავარდნილი შიდა პროცესებით, ადამიანური რესურსებით და სისტემებით, ან გარე

ფაქტორებით. ეს განმარტება მოიცავს თაღლითობის რისკს, საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინფორმაციული უსაფრთხოების რისკებს, სამართლებრივ რისკს, რეპუტაციულ რისკსა და აუტოსორსინგის რისკს.

განსაკუთრებით ბანკის ზომის ზრდის და ოპერაციების სპექტრის გაფართოების პირობებში საოპერაციო რისკის მართვა კრიტიკული ხდება.

საოპერაციო რისკის შეიძლება იყოს როგორც ფულადი ისე არაფულადიც.

მისი იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის მეთოდოლოგია გაწერილია ბანკის რისკის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტებში.

საოპერაციო რისკის მართვის კუთხით ბანკი მიმართავს:

- ინციდენტების აღრიცხვა და ანგარშვება
- რისკისა და კონტროლის თვითშეფასებებს
- რეგულარულ საინფორმაციო სისტემების აუდიტს და შეღწევადობის ტესტირებას
- აუტოსორსინგული ოპერაციების რისკების შეფასება
- ბიზნეს უწყვეტობის გეგმა და შესაბამისი სტრესს-ტესტირება

ზემოაღნიშნული პროცესების შედეგების ანალიზი სრულდება იმ მიზნით, რომ წარმოდგენა შეიქმნას ბანკში არსებული საოპერაციო რისკების პროფილის შესახებ ბანკის რისკ აპეტიტთან მიმართებაში. ანალიზის შედეგად ხორცილდება საოპერაციო რისკების მიტიგაცია ან მიღება (საჭიროების შემთხვევაში) რათა შემდგომში გათვალისწინებულ იქნას ბანკის ბიზნეს საქმიანობაში და სტრატეგიაში.

ბანკის საოპერაციო რისკის მხრივ ხდება რისკის პოზიციების კალკულაცია გამოთვლა საბაზისო ინდიკატორის მეთოდით რაც გადაითარგმნება დამატებით კაპიტალის ბუფერში. ანიშნული მეთოდოლოგია აღწერილია „კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მინიმალური მოთხოვნების შესახებ დებულებაში“

- **ლიკვიდობის რისკი**

ლიკვიდობის რისკი წარმოადგენს ბანკის ვალდებულებების სრულად ან დროულად შეუსრულებლობის გამო შესაძლო ზარალის წარმოქმნის რისკი. ასევე ლიკვიდობის რისკი განიხილება ბანკის მიერ არასაკმარისი დაფინანსების გამო დაკრედიტების შეფერხებაში, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს თავის მხრივ რეპუტაციული და საკრედიტო რისკები.

ლიკვიდობის რისკის დადგომის დროს ბანკი იძულებული იქნება დაჩქარებული ტემპებით მოიზიდოს სახსრები, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს მიღებული სახსრების მაღალ ხარჯიანობას. აღნიშნული უარყოფითად იმოქმედებს როგორც ბანკის მომგებიანობაზე, ასევე მის რეპუტაციასა და სანდოობის დონეზე.

ლიკვიდობის რისკის მიტიგაცია ხდება ბანკში არსებული პროცედურებით, პოლიტიკებით, ლიმიტებითა და ყოველდღიური მენეჯმენტით, რომელიც შესაბამისობაშია ბანკის რისკის აპეტიტთან, რისკის სტრატეგიასთან და ბიზნეს სტრატეგიასთან. ბანკი ლიკვიდობის რისკს მართავს ყოველდღიურად. მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მონიტორინგისთვის გამოიყენება ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტის (LCR – 217%) ანგარიშგება ყოველდღიურად ბაზელ 3-ის მოთხოვნებთან შესაბამისობით.

ხოლო გრძელვადიანი ლიკვიდობის მონიტორინგის მიზნებისთვის წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR 171%)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ბანკის ლიკვიდური აქტივები აღემატება მის მთლიან ვალდებულებებს და ეროვნული ბანკის ნორმატივი საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტი 116% შეადგენს მაშინ როცა საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნის შესაბამისად ეს მაჩვენებელი არ უნდა იყოს 30%-ზე ნაკლები.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები	2018	2017
ფული და ფულის ექვივალენტები	35,291,560	49,165,684
სავალდებულო რეზერვები სებ-ში	10,372,885	6,735,692
კლიენტებზე გაცემული სესხები გაუფ. რეზ. დაკლებამდე	34,894,581	18,842,401
დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები	28,705,072	15,815,783
	109,264,098	90,559,560
კლიენტთა ანგარიშები	59,563,749	61,630,939
ვალდებულება ბანკის სხვა ფილიალების მიმართ	2,023,209	783,621
	61,586,958	62,414,560

ლიკვიდური სახსრების განთავსება ხდება მხოლოდ მაღალ ლიკვიდურ ფინანსურ ინსტრუმენტებში როგორცაა ნაღდი ფული, განთავსებები ეროვნულ ბანკში და ადგილობრივ კომერციულ ბანკებში; ასევე ჭარბი ლიკვიდობისთვის ბანკი აქტიურად იყენებს საინვესტიციო ფასიან ქაღალდებს სახაზინო ვალდებულებების სახით და არ არის ჩართული ფასიანი ქაღალდების სპეკულაციურ სავაჭრო ოპერაციებში.

რადგან ბანკის განვითარების მოცემულ ეტაპზე დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს საკუთარი კაპიტალი და ამავე დროს ბანკის ლიკვიდობის დონე ჭარბია და საკმარისი საშუალო ვადიან პერიოდში - ლიკვიდობის რისკი ფასდება როგორც დაბალი.

- **ბიზნეს სტრატეგიის რისკი**

ზირაათ ბანკი საქართველო, ბიზნეს (სტრატეგიის) რისკად აღიქვამს რისკს, რომელიც დაკავშირებულია კაპიტალის ან შემოსავლების შემცირებასთან, რაც შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი დაგეგმვით, მცდარი სტრატეგიით, ბიზნეს მოდელის გარემოსთან შეუსაბამობით და არასწორი ბიზნეს გადაწყვეტილებებით. ბანკი ახდენს აღნიშნული რისკისათვის, როგორც რაოდენობრივ ასევე ხარისხობრივ მონიტორინგს, ხდება კონტროლი იმისა თუ რამდენად ახლოს არის ფაქტიური მაჩვენებლების ცდომილება ბიუჯეტიდან, საიდანაც დგინდება რამდენად შეასრულა ბანკმა დაგეგმილი ფინანსური ამოცანები, გარდა ამისა ხარისხობრივად ბანკი აანალიზებს საკუთარ პოზიციებს და რამდენად შეესაბამება მისი საქმიანობა მის სტრატეგიასა და გეგმებს.

- **შესაბამისობის რისკი**

შესაბამისობის რისკი განისაზღვრება, როგორც მარეგულირებელი ან სამართლებრივი სანქციების რისკი, მატერიალური ფინანსური დანაკარგი ან რეპუტაციის შელახვა, რაც, შესაძლოა, გამოიწვიოს ბანკის მიერ შესაბამისი კანონების, რეგულაციებისა და წესების, ეთიკისა და ქცევის კოდექსის უგულვებელყოფამ, ან არასათანადო შესრულებამ.

შესაბამისობის რისკში ყველაზე მატერიალურ და პრიორიტეტულ რისკად აღიქმება ეროვნული ბანკის რეგულაციებთან სრული შესაბამისობა რაც მოიცავს როგორც ხარისხობრივ მოთხოვნებს (პროცედურები, პოლიტიკები და ა.შ) და ასევე რაოდენობრივ ეკონომიკურ ნორმატივებს.

ბანკს ემსახურება რესპექტაბელური იურიდიული კომპანია რომელიც უწყევს სრულ მომსახურებას კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით რაც მოიცავს რეგულარულ რეკომენდაციებს. ასევე თითოეული სტრუქტურული ერთეულის დონეზე გაცნობიერებულია და ბანკს აქვს შესაბამისი შიდა პროცედურები და პოლიტიკები შესაბამისობის მოთხოვნების დასაცავად.

მეორეს მხრივ, ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი ქმნის საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დაკისრებული რეგულაციების შესრულების ოპერაციულ ბაზას, რითაც აფართოებს მარეგულირებლის მოთხოვნების შესრულების შესაძლებლობებს, დეპარტამენტის მთავარი ამოცანა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციაა.

- **მარეგულირებლის რისკი**

ბანკის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ. შესაბამისად, არსებობს მარეგულირებლის რისკი, რომ ეროვნულმა ბანკმა გაზარდოს არსებული მოთხოვნები, როგორც მთლიანი საბანკო სექტორისთვის, ისე კონკრეტული ინსტიტუტებისთვის. შესაბამისად, შესაძლოა, რომ ბანკის მომგებიანობა და შედეგები დაიტვირთოს მარეგულირებლის მაღალი მოთხოვნებით, მათ შორის, კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნის მხრივ. ერთერთი ასეთი მსხვილი მოვლენა იყო ახალი მინიმალური საწესდებო კაპიტალის ოდენობის დაწესება რის შედეგადაც ბანკმა გაზარდა საწესდებო კაპიტალი კერძოდ: კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრისთვის 30 მლნ ლარი იყო. კომპანიამ 2018 წელს კაპიტალი 20 მლნ ლარით გაზარდა და 2018 წლის 31 დეკემბრის ბოლოს თანხამ 50 მლნ ლარი შეადგინა.

ეროვნული ბანკი როგორც წესი წინასწარ ავრცელებს მოსალოდნელ საკანონმდებლო ცვლილებებს მოთხოვნებთან დაკავშირებით ამიტომ ბანკს აქვს როგორც წესი საშუალება მოერგოს ცვლილებებს შედეგად აღნიშნული რისკის აღბათობა დაბალია.

- **ქვეყნის რისკი**

ზირაათ ბანკი საქართველოს საკუთარი საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს უკავშირებს თურქეთის მოქალაქეებს და თურქეთის სახელმწიფოს იურისდიქციაში დაფუძნებულ იურიდიულ პირებს ან/და ისეთ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს რომელიც ბიზნეს საქმიანობას ეწევიან თურქეთის ტერიტორიაზე ან/და იურისდიქციაში. ბანკის ფორმატი თავისთავად შეიცავს ქვეყნის რისკს, ვინაიდან იგი არის თურქული ბანკის შვილობილი კომპანია საქართველოში. თურქეთში პოლიტიკური ვითარების დაძაბვამ, რომელმაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს ეკონომიკურ ვითარებაზე, საქართველოსა და თურქეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების გაუარესებამ, საბაჟო განაკვეთების ზრდამ ან კვოტების შემოღებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს ბანკის კლიენტების ფინანსურ მდგომარეობაზე, რაც შესაბამისად, ზეგავლენას მოახდენს ბანკის მომგებიანობაზეც. ვინაიდან აღნიშნული რისკის დადგომის აღბათობა ძალიან მცირეა, ხოლო მისი ზუსტი ან მიახლოებითი შედეგების გამოთვლა შეუძლებელი,

ზირაათ ბანკი საქართველო ამ რისკისაგან გამოწვეული შესაძლო ზარალის გადასაფარად დამატებით დაიკავებს რისკის მიხედვით შეწონილი რისკის პოზიციების 1%-ს შიდა კაპიტალის ადექვატურობის მიზნებისთვის.

- **ჯგუფის რისკი**

სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ არის თურქეთის სს „ზირაათ ბანკის“ ჯგუფის და ფუნქციონირებს როგორც მისი შვილობილი კომპანია. ბანკის ფინანსურ სტაბილურობას, მისი კაპიტალის ოდენობას, გრძელვადიან და მოკლევადიან დაფინანსებას განსაზღვრავს სწორედ დედა ბანკი. მნიშვნელოვანია, რომ დედა ბანკის საკრედიტო რეიტინგი არის B+ Fitch-ის შეფასებით და B2 Moody's შეფასებით. სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ შესაძლოა დადგეს ფინანსური სირთულეების წინაშე იმ შემთხვევაში თუ სათაო ბანკს შეექმნება ფინანსური სირთულეები, თუმცა საშუალო ვადიან პერიოდში ბანკს აქვს საკმარისი საკუთარი კაპიტალი და დაფინანსება. გარდა აღნიშნულისა, თუ მხედველობაში მივიღებთ ბანკის ბიზნესის მოცულობას იგი იმდენად მცირეა სათაო ბანკთან შეადრებით, რომ ფინანსური სირთულეების შემთხვევაში დედა ბანკი ვერ გამოიყენებს ბანკის ფინანსურ კეთილდღეობას საკუთარი ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ზემოთ მოყვანილი არგუმენტაციაზე დაყრდნობით სს „ზირაათ ბანკი საქართველო“ მფლობელობით რისკს აღიარებს როგორც დაბალს.